



აკაკი თერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



KUTAISI AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

ISSN 15112-09-53

მრომები ტ. III (37)
საგუნდის მეცნიერებლო-გათებათიძე
გაცნობის სამსახურის სერია

WORKS V. III (37)
THE SERIES OF SCIENTIS
AND MATHEMATICS



აკაკი თერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეროვნული გამოცემი

KUTAISI AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

ISSN 15112-09-53

მროვები ტ. III (37)

საგენერალურო-მათემატიკურ
მეცნიერებათა სერია

WORKS V. III (37)
THE SERIES OF SCIENTIS
AND MATHEMATICS

მთავარი რედაქტორი - პროფესორი ავთაძებილ ნიკოლევიზოლი

მთავარი სარედაქციო საბჭო: ვახტანგ ამაღლობელი (საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების დაწესის პრორექტორი), პროფესორი ლიმპ ბირბაძე (ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), პროფესორი იორქინიშვილი ეფრემიშვილი (სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე), შალვა ქირიბაძე (გამომცემლობის დირექტორი), პროფესორი ლმარ ლანჩავაძე (სასწავლო და სამეცნიერო დაწესის პრორექტორი), პროფესორი ბირბაძი წნიანი (საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), პროფესორი ლევან სვანიძე (სოციოლოგიურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), ღოცენგი მარინე ქასპარავაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), პროფესორი გერამ ჩაჩანიძე (პედაგოგიკურ და მეთოდიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), ნატო წელენისპირი (სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მდივანი).

სერიის რედაქტორი - პროფ. ბირბაძი წნიანი

სარედაქციო კოლეგია: ღოც. ლ. გვეგაძე, პროფ. თ. გრძელიძე, ღოც. ი. ერემეიმვილი, პროფ. თ. ეფრემიძე, ღოც. რ. თუთეევიძე, ღოც. თ. ლობეგანიძე, პროფ. ა. მახარაძე, ღოც. თ. ნადირაძე, ღოც. ა. ნანავა, ღოც. გ. ა. ონიანი, ღოც. რ. საკანდელიძე, ღოც. თ. სურგულაძე, პროფ. თ. გონია, პროფ. თ. ღიბრაძე, ღოც. გ. ჩირაძე, ღოც. თ. ჩხეიძე, ღოც. შ. ჯინჯოლია, ღოც. ბ. ჭუმბურიძე.

სამუნა აბგიანიძე

ტექსტურ კონცესირამი ღარებრუნვის პრაქტიკული
გამოყენების შესახებ

Microsoft Office-ის პროგრამული პაკეტის შესწავლის შემდეგ მომხმარებელს ბუნებრივად უჩნდება კითხვა მისი დამატებითი შესაძლებლობების შესახებ. მართლაც, ამ პაკეტში შემავალი ყველა სამომხმარებლო პროგრამული გარსი იყენებს ერთიან, ძლიერ პროგრამირების ენას Visual Basic-ს, რომლის სპეციფიკის გათვალისწინებით ისინი ინტეგრირებული არიან Windows-ში. (Visual Basic-ის ამ ვერსიას უწოდებენ Visual Basic for Application ანუ VBA). VBA-ის საშუალებით დანართების შექმნისას იდგილი აქვს ობიექტებზე ორიენტირებულ მიღობას და აქტუალურის დამატებითი ამოცანების ავტომატიზაციის დროს. იგი ქმნის ახალ ფუნქციონალურ შესაძლებლობებს ობიექტების, თვისებებისა და მეთოდების გამოყენებით ანუ სხვანაირად თუ ვიტყვით MS Office-ის პროგრამული პაკეტი საშუალებას აღლეს მომხმარებელს შემოიტანოს თავისი მნემონიკური ალნიშვნები, განსაზღვრული მოქმედებების შესასრულებლად. მას მაკროგანსაზღვრა ანუ მაკროსი (macros) ეწოდება.

მაღალი დონის პროგრამირებაში მაკროგანსაზღვრა ანუ მაკროსი პროცედურისაგან იმით განსხვავდება, რომ პროცედურის კომპილაცია ხდება მხოლოდ ერთხელ და შემდეგ მასზე მიმართვა სრულდება გამოძახების ბრძანების სახით, ხოლო მაკროგანსაზღვრის რეალიზაციის დროს, ყოველთვის ხდება უშუალოდ მისი ტექსტის კომპილაცია. მაკროსების კომპილაცია ხორციელდება ორმაგი საფეხურით-პირველზე ხდება უშუალოდ მაკროსების გახსნა, ხოლო მეორეზე-კომპილაცია. პირველ საფეხურს მაკროპროცესორი ეწოდება. მაკროპროცესორის გამოყენება აადგილებს, კოდის წაკითხვას და მისი განმეორების შესაძლებლობას ზრდის.

ამ სტატიაში განხილულია ზოგიერთი ამოცანა, რომელიც შექვება კოდირების ტექნიკური დანართებში. ამ ამოცანების გადაწყვეტა განსაზღვრა მათმა ფართო მოხმარებამ MS Office-ის პროგრამებში. მათი მუშაობის სისტრაფე დამაკაყოფილებელია, სამომხმარებლო თვალსაზრისით ნორმა-ლურია, თუმცა მომავალში შეიძლება უკეთესიც გამოჩნდეს.

ამოცანა 1: მაკრობრანგება, რომელიც ტექსტიდან ამოაგდებს არასჭირო ჰარა (პრობელ) და ჩასვამს აუცილებელს.

ასეთი პრობლემა ძალიან ხშირად გვხვდება Word-ში ტექსტის მომზადება-ფორმატირების დროს. ალგორითმში უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასვენი ნიშნების წინ, აგრეთვე წინადაღების ბოლოს წერტილსა და აბზაცის დასრულების მაჩვენებელს შორის ჰარა არ შეიძლება იყოს, ხოლო სასვენი ნიშნების შემდეგ ჰარი აუცილებელია. ასევე ლუწი რაოდენობა ჰარისა უნდა ამოვარდეს. მაკროსის კოდის ფრაგმენტი მოყვანილია ქვემოთ:

```

Dim c           ' სიმბოლო რომელზეც კურსორი დგას
Dim p           ' წინა სიმბოლო
If Selection.Start = Selection.End Then
    msg = "фрагмент документа не выделен" + Chr(13) +
"обработать весь документ?"
    cnst = 33
    Set myRange = ActiveDocument.Content
    Else
        msg = "обработка выделенного" + Chr(13) + "фрагмента документа"
        cnst = 65
        Set myRange = Selection.Range
        EndRange = myRange.End
        End If
        myRange.StartOf
        myRange.Select
        r = MsgBox(Msg, cnst, "удалить добавить пробелы")
        If r = 0 Then GoTo abc
        p = " "
        While Selection.MoveRight(unit:=wdCharacter, Count:=1)=1 And_
            ActiveDocument.Bookmarks("\sel").Start < EndRange
            c = Selection.Range.Characters(1)
            Select Case c
                Case " "
                    If p = " " Or p = "(" Then

```

```

Selection.Characters(1).Delete
End If
Case ".", ",", ";" , ":" , "!" , "?" , Chr$(13) , Chr$(9) , ")"
If p = " " Then
    Selection.Find.Execute findtext:="^w", Forward:=False, replacewith:=""
End If
Case "("
If p <> " " Then
    Selection.Characters(1).InsertBefore ""
    Selection.Move
End If
Case Else
If p = "." Or p = "," Or p = ";" Or p = ":" Or p = "!" Or p = "?" Or p = ")"
    Selection.Characters(1).InsertBefore ""
    Selection.Move
End If
End Select
p = c

```

Wend
abc:
კოდის დასაწყისში ვამოწებთ მონიშნულია თუ არა ტექსტი და როგორია მონიშნულის დიაპაზონი. While ციკლში ხდება ყველა სიმბოლოს გადათვალიერება. ეს პროცესი მიმდინარეობს, სანამ გადა-ადგილება შესაძლებელია ანუ დიაპაზონის ბოლომდე, ხოლო Select Case ისტრუქციის საშუალებით მოწმდება ყველა შესაძლო მე-ზობელი სიმბოლოების თანხვედრა: „c“ ცვლადი ღებულობს იმ სიმბოლოს მნიშვნელობას, რომელზეც კურსორი დგას, „p“ კი წინა სიმბოლოს. (C სიმბოლო პირობითად Cencel-ის აღმნიშვნელია, ხოლო P კი Print-ის. თუკი Cencel ღილაკია „გააქტიურებული“ - ეს ნიშნავს პროგრამიდან გამოსვლას, Print კი „обработка документа“ - ს) აქედან გამომდინარე ან მოხდება ჰარის ჩასმა ან ამოვდება.

დაქმნა-ფორმატირება.

MS DOS-ის ტექსტურ რედაქტორში (მაგ. Norton Commander) შექმნილი ტექსტის Word-ში გადატანისას იქმნება მრავალი პრობლემა. ეს დაკავშირებულია რამოდენიმე მიზეზთან: MS DOS-ის ტექსტის სტრიქონი მთავრდება ახალი სტრიქონის სიმბოლოებით ან სტრიქონის ტექსტის განცვლით.

ნის დასრულების სიმბოლოთი (возврат каретки). MS DOS-ში ეს შემთხვევა მოაღენს აბზაცის დასრულების მარკერს. მთელი ტექსტი წარმოდგენილი იქნება როგორც უამრავი აბზაცი. ეს მაკროსი მოახდენს ამ ტექსტის დაფორმატებას და სასარგებლოა ინტერნეტის ქსელიდან ჩეთვერატების გადმოტვირთვის დროს. ამოცანის გადაწყვეტის დროს უნდა გავითვალისწინოთ სამი მომენტი: 1. თუკი ვმუშაობთ ჩვეულებრივ მთელს ეკრანზე გაშლილ ტექსტთან, მაშინ საკმარისია მოვნიშნოთ აბზაცის ოდენა ტექსტი და გარდავჭმნათ. სტრიქონის ბოლოს აღმნიშვნელი მარკერი შევცვალოთ პარით. 2. თუკი ტექსტი ჩაწერილია ლექსის სახით, მოკლე სტრიქონებით, მაშინ საჭიროა აბზაცის ბოლოს აღმნიშვნელი სიმბოლო შევცვალოთ Word-ში სტრიქონის იძულებით დამთავრების სიმბოლოთი. 3. თუკი ტექსტი წარმოდგენილია ცხრილის სახით, მაშინ ერთმანეთის მიმდევრობით ჯაჭვურად ჩალაგებული პარი გარდავჭმნათ ტაბუ-ლიაციის სიმბოლოდ, რათა შემდეგ Convert Text To Table ოპციის საშუალებით მივცეთ ცხრილის სახე. მაკროსის კოდში გამოყენებულია წინასწარ შექმნილი ფორმა. ფორმაში გამოყენება ელემენტების პანელის Option Button (გადამრთველი) სამი ელემენტი, წარწერით „ჩვეულებრივი ტექსტი“, „მოკლე სტრიქონები“ და „ცხრილი“. კოდის ფრაგმენტი მოყვანილია ქვემოთ:

If Selection.Start = Selection.End Then

MsgBox "фрагмент текста не выделен", vbInformation+ vbOKOnly,
"удаление символа абзаца"

GoTo abc

End If

Set myRange = Selection.Range

форма1.Show

If форма1.Tag = "1" Then

If форма1.OptionButton1.Value = True Then

myRange.Find.Execute Findtext:="^p", Replacewith:=" ",
Replace:=wdReplaceAll

Else

If форма1.OptionButton2.Value = True Then

myRange.Find.Execute Findtext:="^p", Replacewith:="^0011 ",
Replace:=wdReplaceAll

Else

If форма1.OptionButton3.Value = True Then

myRange.Find.Execute Findtext:="^w", Replacewith:="^t",

End If
End If
End If

abc:

ამოცანა 3: Dos-ის ჩედაქტორში ყრებილ ტექსტში სტრიქნის ბოლოში სიტყვის გადატანა ხდება ხელოვნურად, გადატანის ნიშნის დასმით. Word-ში ამ ღოვანენტის გამოხახების შემდეგ გადატანის ნიშნები ტექსტის სახეს ცვლიან, განლაგდებიან არადანიშნულები-სა-მებრ. ზოგ ადგილზე სიტყვას ყოფენ ორ ნაწილად. ქვემოთ მოყვანილი მაკროსი პოულობს გადატანის ამ ნიშნებს და ამოაგდებს ტექსტი-დან. გთავაზობთ ფრაგმენტს:

Dim pw, nw წინა და მომდევნო წაკითხული სიტყვები
 Dim p წაკითხული დეფისი

$$n_w \equiv$$

$$B \equiv 0$$

Select

Selection.HomeKey unit:=wdustory
k=0

K = 0

pw = Selection.Range.Words(1)

While Selection.Move(unit:=wdWord) = 1

nw = Selection.Range.Words(1)

If nw = "-" Then

$$p = 1$$

Else

If $p = 1$ Then

```
r = MsgBox("удалить дефис в:" + pw + "-" + nw, vbExclamation + vbOKCancel, "удалить переносы")
```

If r = vbCancel Then

$$p = 0$$

$$dw = nw$$

GoTo abc

Else

$$k = k + 1$$

Selection.MoveLeft unit:=wdWord

Selection.Words(1).Delete

nw = Selection.Range.Words(1)

End If

$$p = 0$$

$\text{pw} = \text{nw}$

Else

```

pw = nw
End If
End If

```

abc:

Wend

MsgBox "Работа закончена, было произведено"+Str(k)+"удалений"

ამოცანა 4: პროგრამა ტექსტში ნახევრადგამუქების შედეგად გა-
მოკვეთს საბაზისო სიტყვებს. ეს სიტყვები აღწერილია, როგორც მა-
სივი, ხოლო მასივის სახელია keyWord. თავიდან ხდება ტექსტის
ფრაგმენტის მონიშვნა, შემდეგ თითოეული სიტყვის შემოწმება
While...Wend ციკლში. ციკლი იბრუნებს, სანამ სრულდება ერთდრო-
ულად ორი პირობა: 1. შესაძლებელი უნდა იყოს სიტყვიდან სიტყვა-
ზე გადაადგილება (Selection.Move(unit:=wdWord) = 1) 2. მი-მდინარე
მონიშვნა Range ობიექტის ბოლო მონიშვნის წინ უნდა მდე-
ბარეობდეს (ActiveDocument.Bookmarks("\sel").Start < myrange.End).
შემდეგ უკვე ხდება სიტყვის შედარება მასივის ელემენტებთან. სრუ-
ლი დამთხვევის შემთხვევაში ინსტრუქცია Selection.Words(1).Font.Bold=True სიტყვას დააფორმატებს ნახევრად გა-
მუქებულ შრიფტში

Dim keyWord(3) As String

If Selection.Start = Selection.End Then

MsgBox "не выделен фрагмент текста", 16, "ключевые слова"

GoTo abc

End If

keyWord(0) = "Georgia": keyWord(1) = "Kutaisi": keyWord(2) = "Gel-
ati":

keyWord(3) = "Tbilisi"

Set myrange = Selection.Range

ActiveDocument.Bookmarks("\StartofSel").Select

While Selection.Move(unit:=wdWord) = 1 And_

ActiveDocument.Bookmarks("\sel").Start < myRange.End

If Selection.Text >= "A" And Selection.Text <= "Z" Then

Selection.Words(1).Select

f = 0

i = 0

While Not f And i <= 3

If Selection.Words(1) = keyWord(1) Then f = -1

i = i + 1

Wend

If f Then Selection.Words(1).Font.Bold=true

End If

Wend

abc:

ამოკანა 5: დოკუმენტში სიტყვების რაოდენობის განსაზღვრა.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად შეიძლება შევქმნათ მაკროსი, რომელიც დოკუმენტში სიტყვების რაოდენობის დათვლას თვისება Count-ით განახორციელებს, მაგრამ ამავე დროს ეს თვისება სტრიქნის დასრულების (возврат каретки) და სტრიქნის გადატანის სიმბოლოს აღიქვამს, როგორც სიტყვებს და უმატებს საერთო რაოდენობას. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ქვემოთ მოყვანილ კოდში უარი ვთქვით Count-ის გამოყენებაზე და მივმართეთ While...Wend ციკლს და MoveRight მეთოდს. ერთ შემთხვევაში ის მუშაობს როგორც ფუნქცია და ადვილად გადაადგილების შემთხვევაში აბრუნებს მნიშვნელობა 1-ს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც გადაადგილების ინსტრუქცია. სიტყვების რაოდენობის განმსაზღვრელ ცელადს დავარქვათ slovo. If ინსტრუქცია საერთო რაოდენობას გამოაკლებს იმ სიტყვებს, რომელთაც ბოლოში არ გააჩნიათ ჰარის ნიშანი (ეს არის სწორედ “возврат каретки” და “სტრიქონის გადატანის” სიმბოლოები). ვნახოთ კოდის ფრაგმენტი:

Dim slovo As Integer

With Selection

.HomeKey unit:=wdStory, Extend:=wdMove

```
While .MoveRight(unit:=wdWord, Extend:=wdExtend) = 1
```

If .Characters.Last <> " " Then

.MoveRight unit:=wdWord, Extend:=wdExtend

End If

slovo = slovo + 1

Wend

.Collapse direction:=wdCollapseEnd

End With

s1 = slovo

If slovo > 20 Then s1 = Val(Right(Str(slovo), 1))

Select Case s1

Case 1

MsgBox "в документе" + Str(slovo) + "слово"

Case 2 To 4

MsgBox "в д

Case 5 To 20

MsgBox "в документе" + Str(slovo) + "слово"



Case Else

End Select

პროცესი 6: ზემოთ ჩამოთვლილი მაკროსები პრაქტიკული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შეიქმნა და მხოლოდ MS Word-ის გარემოს ემსახურებიან. დასასრულს მინდა მოვიყვანო Excel-ის მაკროსის მაგალითი, რომელიც ამ პროგრამული გარსის გაფორმებას ემსახურება. მას პრაქტიკული ხასიათი არა აქვს, მაგრამ მაგალითია იმისა, რომ ამ გარემოშიც შეიძლება ისეთივე წარმატებით ვიმუშაოთ, როგორც Word-ში. ქვემოთ მოყვანილი კოდი ასრულებს შემდეგ ამოცანას: წიგნის (book) გახსნის შემდეგ ეკრანზე ფონის სახით გამოდის ტექსტი. მასზე თაგვით დატკაცუნების შემდეგ ფონი ქრება

```
Application.Worksheets(1).Activate
```

```
Set mydoc = Worksheets(1)
```

```
flag = 0
```

```
Range("f25").Select
```

```
ActiveCell.FormulaR1C1 = "click here"
```

```
Range("a1").Select
```

```
flag = 2
```

```
With ActiveWindow
```

```
    .DisplayGridlines = False
```

```
    .DisplayHeadings = False
```

```
    .DisplayHorizontalScrollBar = False
```

```
    .DisplayVerticalScrollBar = False
```

```
    .DisplayWorkbookTabs = False
```

```
    .SmallScroll down:=2
```

```
End With
```

```
With mydoc.Range("a1:n39").Interior
```

```
    .ColorIndex = 8
```

```
End With
```

```
With Application
```

```
    .DisplayFullScreen = True
```

```
    With .CommandBars("Worksheet Menu Bar")
```

```
        .Protection = msoBarNoProtection
```

```
        .Enabled = False
```

```
    End With
```

```
.CommandBars("WordArt").Visible = False
End With
Set newWordArt=mydoc.Shapes.AddTextEffect_
(PresentTextEffect:=msoTextEffect22, Text:="Georgia" + _
Chr(13) + "Tbilisi" +Chr(13) + "Kutaisi", FontName:="Times New_ 
Roman", FontSize:=42, FontBold:=True, FontItalic:=True, Left:=50,_
Top:=120)
```

დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ მხოლოდ ერთი, VBA (Visual Basic დანართებისათვის) წარმოადგენს მთლიანად უნიფიცირებულ პროგრამულ ენას და გააჩნია მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ობიექტებზე მოდელირებისა და მრავალჯერადი გამოყენებითი კოდის სახით. ეს საშუალებას იძლევა განვახორციელოთ საჭირო როგორი პროცესი.

ლიტერატურა:

1. Иртегов Д. – Введение в операционные системы. Санкт-Петербург изд. bkh 2002 г.
2. Гюнтер Штайнер – VBA 6.3 справочник. Москва изд. Юнимедиастил 2002г.
3. Малышев С. А. - Самоучитель VBA. Санкт-петербург. изд. Наука и Техника 2001 г.

THE PRACTICAL USE OF PROGRAMMING IN WORD PROCESSOR

Having studied Microsoft Office programs the user is eager to learn more about its extra possibilities.

Indeed all program interface uses the same strong program language- Visual Basic and being specific they are all integrated in Windows. This version of Visual Basic is called Visual Basic for Application or VBA.

Object Oriented Program VBA creates new functional possibilities by means of objects, properties and methods.

In this article we discuss some problems connected with formatting of Internet or Norton Commander text files transferred to Word Processor by using VBA macrolanguage.

ინფორმატიკის და კომპიუტერული ტექნიკის კათედრა

სალოგ ახვლებიანი, ენდი სირამე

საქართველოს სტატუსურული კარამეტრების ასაკორიზი მორფო-ფუნქციონალური ცვლილებები ფერტილიბაზის შეახვე

საკვერცხე ადამიანის ორგანიზმის უანალოგო ორგანოა, ის დაბადების მომენტიდანვე აღჭურვილია მთელი სიცოცხლის განმავლობაში „მოსახმარი“ სტრუქტურებით. თითქმის ყველა ორგანო, საკვერცხის გარდა, განაგრძობს განვითარების სამფაზიან ციკლს (მომწიფება, გაფურჩქვნა ინვოლუცია) პოსტემბრიონალურ პერიოდშიც. საკვერცხე გადის განვითარების 2 სტადიას (სიმწიფე, სიბერე) და ხანგრძლივად, უხვად გასცემს მასში ჩადებებულ კაპიტალს კვერცხუფრედების სახით.

საკვერცხეებში მიმდინარე პროცესები სქესობრივი მომწიფების პერიოდიდან ექვემდებარება ჰიპოფიზს, აგრეთვე ჰიპოფიზური კონტროლით იისხნება საკვერცხეებში მიმდინარე მრავალრიცხვოვანი სტრუქტურული გარდაქმნები, რომლებიც აბალანსირებენ მის ჰიპომონპროდუცირებას და შესაბამისად საკვერცხეების ადექვატურ მონაწილეობას როგორც მენსტრუაციულ, ისე ჰიპომონალურ ციკლში.

საკვერცხეების სტრუქტურული ელემენტები გამოიჩინიან დინამიურობით, ურთიერთშემცველობით და ურთიერთგარდაქმნით. მილიონი პრიმოდიალური ფოლიკულა ძასაბამს ატრეზიულ ფოლიკულებს, ყვითელ სხეულს, რომლებიც მოიხმარება ოვულაციის დროს, ოვულაცია კი არ ხდება ცილოვანი გარსის მონაწილეობის გარეშე. ყვითელი სხეულიდან წარმოიქმნება ნაწიბური ან ჰიპომონმაპროდუცირებელი ინტერსტიციალური ჯირკვალი (ან სხეული); საკვერცხეების მთელი სტრომა კი წარმოადგენს ენდოკრინულ ჯირკვალს. სტრომის ჰიპომონალური პერეტრუბაციის შედეგია ინტერსტრიციუმის უქრედების ტეკიმატოზური გარდაქმნები. საკვერცხეების სტრომის სტრუქტურა რთულდება არა მარტო მისი კომპონენტების სიხში-


რით, არამედ ქერქოვანი და ტვინოვანი ელემენტების თავმოყრით მას შეუძლია გამოიყენოს ში. ყურადსალებია აგრეთვე ამ პატარა ჭირკვლებიდან წვენების დეპონირების შედარებითი შეზღუდვა rete ovarii-დან.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ საკვერცხე ორგანოა, რომელშიც მცირე ფართობზე განლაგებულია სტრუქტურული ელემენტების დიდი რაოდენობა, ამას რომ დავუმატოთ ციკლის დროს საკვერცხებში მიმდინარე პერეტრუბაციები (ფოლიკულების მომწიფება, მათი ზომების ზრდა და შემდგომი ინვოლუცია) გასაგები ხდება, რომ ამან ყველაფერმა არ შეიძლება დიდი ზეგავლენა არ მოახდინოს (დააზიანოს შემდგომი სკლეროზით) თვით საკვერცხის ქსოვილზე.

აქედან გასაგებია, რომ საკვერცხეები ნორმაშიც განიცდიან ინტენსიურ ზემოქმედებებს და გარდაქმნებს, რაც უკვალოდ არ აისახება მათ ფუნქციებზე.

ყურადსალები ფაქტორია დედის ჰორმონალური სტატუსის ზეგავლენა ნაყოფის საკვერცხეებზე. ამერიკელი მეცნიერ-პათოლოგის ე. პოტერის მონაცემებით საკვერცხეების თანდაყოლილი ფოლიკულარული კისტების მიზეზია დედის ორგანიზმის ჰორმონალური მოშლილობა. იღსანიშნავია ისიც, რომ საკვერცხეების პათოლოგიების ფართო სპექტრი აღნიშნებათ ბავშვის გაჩენის ასაკის მქონე ქალებს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს პათოლოგიებს სხვა ასაკშიც (ხანდაზმული, მოხუცებული, პერინათალური, ადრეული ბავშვობა, ბავშვობა). პუბერტულ ასაკამდე საკვერცხეების პათოლოგიები იშვიათია, რადგან „ტერიტორიული საკითხები“ იწყება ციკლის დაწყების შემდეგ.

საკვერცხის მიკროსკოპული აგებულება (სქემა)



I-ქერქოვანი ნივთიერება; II-ტვინოვანი ნივთიერება: 1-პრომოციული დიალური ფოლიკულები; 2-მზარდი ფოლიკულები; 3-ფოლიკულის შემაერთებელ-ქსოვილოვანი გარსი; 4-ფოლიკულური სითხე; 5-მწიფე ფოლიკული; 6-კვერცხის გროვა; 7-ყვითელი სხეული; 8-ტვინოვანი ნივთიერების ინტერსტიციალური ქსოვილი; 9-თეთრი ხეული; 10-ატრეზიული სხეული; 11-ზედაპირული ეპითელი; 12-ცილოვანი გარსი; 13-ტვინოვანი ნივთირების სისხლძარღვები (ი.ი. აფანასიევის მოხედვით, 1989).

საკვერცხების პათოლოგიების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს მათში მყოფი აქტიური სტრუქტურების ტერიტორიული განლაგება და ურთიერთჯმედება, რასაც ადასტურებს საკვერცხების დისფუნქციის კოლოსალური სიხშირე კლინიკაში და საკვერცხების პათოლოგიები ქირურგიულ და სექციურ მასალებში.

საკვერცხების ქერქოვანი ნივთიერება ჭმნის წინაპირობას მომაკვდავი და სკლეროზური სტრუქტურების გადაადგილებისათვის ტვინოვანი ნივთიერების მიმართულებით, რის შედეგადაც ამ შრეში იქმნება სიმჭიდროვე, რომელიც უფრო ძლიერდება ტვინოვანი ნივთიერების ცალკეული ფოლიკულების დიდი ზომებით. ამავე დროს ტვინოვან ნივთიერებაში თავს იყრის პორმონების და სხავადასხვა წვენების გამომყოფი სტრუქტურები, რომლებისთვისაც ხელსაყრელია საკვერცხის კართან ახლოს ყოფვა. ასე, რომ აქ სიმჭიდროვე განაპირობებს აღვილისათვის ბრძოლის მოქენტს. სიმჭიდროვეს სტრომაში, როგორც წესი, თან სდევს ფოლიკულებიდან გამონადენის შეჩერება, რაც შეიძლება დასრულდეს კისტების წარმოქმნით, რომელიც ხშირია საკვერცხეებში.

აგრეთვე აუცილებლად გასათვალისწინებელია პრიმორდიალური და მზარდი ფოლიკულების განაწილების ხასიათი ასაკიდან გამომდინარე, რადგან ეს პროცესი განისაზღვრება ცილოვანი გარსის მდგომარეობით, რომლის მთლიანობის დაურღვევლად არ მოხდება ოვულაცია.

აქამდე საკვერცხეები არ შეისწავლებოდა მისი სტრუქტურული ელემენტების ტერიტორიული ურთიერთქმედების ასპექტში, აგრეთვე არ იყო არანაირი მინიშნება მარჯვენა და მარცხენა საკვერცხეების თავისებურებებზე (ეს საკითხი იხილებოდა სხვა წყვილი ორგანოების, მათ შორის დიდი ტვინის ჰემისფეროების მიმართ). საკვერცხეების

მორფოლოგიის და პათოლოგიების შესახებ იშვიათ ლიტერატურულ
წყაროებში არ არსებობს საკვერცხეების შემადგენელი სტრუქტურული
რების მორფომეტრიული გეგმა, როდესაც მათი ამ მეთოდით გამოკ-
ვლევა, რაოდენობრივ-სივრცობრივი შემადგენლობის გათვალისწი-
ნებით, დიდ როლს ასრულებს ადრეულ დიაგნოსტიკაში.

კვლევის შედეგად მიღებული მორფომეტრული მონაცემების გადა-
მოწმება, გადათვლა და შედარება (ჰისტოგრამიური და მიკროსკოპული
გამოკვლევების ფონზე) წარმოადგენს საქმაოდ არგუმენტირებულ პა-
სუხს მრავალ კითხვაზე, რომლებიც გამომდინარეობს ქალის ფერტი-
ლურობის მორფო-ფუნქციონალური საფუძველიდან.

საკვერცხეების სტრომის ელემენტების მორფომეტრულ კვლევას
საფუძვლად უდევს სექციური და ქირურგიული მასალის ანალიზი,
მათ შორის მკვდრადშობილების, ახალშობილების (პერნათალური პე-
რიოდი), ბავშვების: 1 თვიდან-1 წლამდე, 3 წლიდან-10 წლამდე, 14
წლიდან-16 წლამდე, ბავშვის გაჩენის უნარის მქონე და 40 წელს გა-
დაცილებული ქილების.


პრეპარატები იღებება ჰისტოლოგიური მეთოდებით (ჰიმატოგენი-
ლინ-ეოზინით და პიროფუქსინით):

1. ელასტიურ ბოჭკოებზე—ვეინგერტის მეთოდით
2. არგილოფილურ ბოჭკოებზე—სლესარევის მეთოდით
3. კოლაგენურ ბოჭკოებზე
4. ცხიმზე—სუდან III

ჰისტოგრამიური მეთოდებიდან გამოიყენება შეღებვა მუავე და ნეიტ-
როლური მუკოპოლისაქარიდებზე, გლიკოგენზე, ტუტე ფოსფატზე,
სუქცინატდეპიდრო-გენაზაზე, ბირთვის ცილებზე.

რეპრეზენტატიული შემთხვევების გამოკვლევა თითოეული სერიი-
დან ხდება ელექტრონული მიკროსკოპით.

ს. ახვლედიანი. ე. სირაძე

საკვერცხეების სტრუქტურული პარამეტრების ასაკობრივი, და
რაოდენობრივი ცვლილებები ფერტილიზაციის შუქჲე. 

რ ე ზ ი უ მ ე

ერთ-ერთ პრობლემას ნაყოფიერი ინფორმაციის მიღების თვალ-
საზრისით მიაკუთვნებენ უშვილობის მორფო-ფუნქციონალურ წინა-
პირობას. ეს პრობლება მისი მრავალფაქტორიანობის გათვალისწი-
ნებით შესწავლილი იქნა სხვადასხვა ასპექტში. მაგრამ ყველაზე პერ-
სპექტიულ და პრიორეტეტულად ამ კუთხით ითვლება საკვერცხეების
მორფო-ფუნქციონალური გამოკვლევა.

საკვერცხეები ფუნქციებისადმი უფრო თანამედროვე მიღომის
თანახმად, პირველად მათი პათოლოგიების შესასწავლად გათვალის-
წინებული იქნა სტრუქტურულ-სივრცობრივი პირობები და მისი პა-
რენჯიმატოზური და სტრომალური სტრუქტურების ინტენსიური დი-
ნამიკა, მისი ქსოვილის გადატვირთვის გათვალისწინებით.

მორფომეტრული გამოკვლევების შედეგად, საკვერცხეების სტრუქ-
ტურული წარმონაქმნების რაოდენობრივ-სივრცობრივი თანაფარ-
დობის გათვალისწინებით, ამ ნაშრომში პირველად გაქვეთებული იქნა
დასკვნები ნორმისა და პათალოგიის შეჯერებით. კერძოდ, საკ-
ვერცხეების სტრომის გადაჭარბებული დატვირთვა სტრუქტურებით
იწვევს ფოლიკულებიდან გამონადენის გამოყოფის შეწყვეტას, რასაც
თან სდევს კისტების წარმოქმნა. ამოკვლევის შედეგად აგრეთვე პირ-
ველად გამოვლენილი იქნა დედის ჰორმონალური სტატუსის ზეგავ-
ლენა ფოლიკულური კისტების თანდაყოლილი ფორმების წარმოქმნა-
ზე.



Возрастные морфофункциональные и количественные изменения некоторых структурных параметров яичников в свете фермилизации.

Резюме

Одной из проблем, с точки зрения получения информации считаются морфофункциональные предпосылки бесплодия. Это проблема, учитывая ее многофакторность, была исследована в самых различных аспектах. Но наиболее перспективной и приоритетной в этом плане являются морфо-функциональные исследования яичников, откуда мигрирует яйцеклетка, в дальнейшем образующая зиготу.

Согласно более современного подхода к функции яичников, впервые при исследовании и патологии были учтены структурно-пространственные условия и интенсивная динамика ее паренхиматозных и стромальных структур, учитывая перегруженность и ткани.

В результате морфологических разработок, с учетом количественно-пространственных соотношений структурных образований в яичниках, в данной работе были сделаны выводы в плане увязки их нормы с патологией. В частности чрезмерная насыщенность стромы структурами приводит к прекращению выделений из фолликулов, что конечном счете сводится к образованию кист. В результате исследований также впервые было выявлено, что нормальный статус матери влияет на образование врожденных форм фолликулярных кист.

S. Akhvlediani. E. Siradze

The age morphofunctional and quantitative changes of some structural parameters of ovaritis in the light of barrenness.

Summary

The morphofunctional prerequisites of barrenness are one of the problems with the point of view of getting the informations. This question taking into account its multifaqtors, was invenstigated in different aspeqt. The morphofunctional reseaches of ovaritis are the most long-range and priority.

საქართველო
მდგრადი ნაციონალური
მედიცინური და ბიოლოგიური
ცენტრი

According to the modern method of approach to the ovaritis's function by the research its pathology it was taken into account structural-spatial conditions and intensive dynamics of its parenchimal and stromal structure.

As a result of morphometric working out which calculation quantitative-spatial correlations structural formations in the ovaritis were made the conclusions in order coordinations its norma with pathology. The saturation of stroms which structures bring make an end of secretions from follicles, that lead to formation the cyst.

As a result of research was cleared up also that the mother's hormonical status have an influence on the formation of the innate forms follicular cyst.

ლიტერატურა-Литература-Referenses

1. Улумбеков, Э. Г., Челышев Ю.А., Гистология (Введение в патологию), М.; ГЭОТАР, 1997.
2. Шубникова Е.А., Функциональная морфология тканей, М.; МГУ 1981.
3. Beck W., Obstetrics and gynecology, Baltimore: Williams and Wilkins, 1990.
4. Юрина Н. А., Радостина А.И., Гистология, М.; Медицина, 1995.

ზოგადი ბიოლოგის კათედრა

თამაგ ბევალია

თავისება ურებანი გოგიერთ ურომაგნიტურ ნივთიერებაში თავისება ურებანი გოგიერთ ურომაგნიტურ ნივთიერებაში

მრავალდომენიანი ფერომაგნეტიკების ბირთვული მაგნიტური ოეზონანისის (ბმრ) სპექტროსკოპიაში ძირითადად შესწავლის საგანს წარმოადგენს სპექტრები, რომლებიც შედეგებიან რამოდენიმე სიხშირულად ერთმანეთისგან გამოყოფილი მაქსიმუმებისგან. მაგალითისთვის განვიხილოთ ბმრ სპექტრი, რომლის სრული სიგანეა 10 მგჰც ამღვენები სიხშირეა 200 მგჰც. მიღებული შედეგების მარტივი რიცხობრივი შეფასებაც კი გვიჩვენებს, რომ ისეთი ბმრ ფურიე-სპექტრომეტრის შექმნა, რომელიც მოიცავს 10 მგჰც და მეტი სიგანის სიხშირულ არეს, ხოლო აღვენების სიხშირე იცვლება 300-400 მგჰც ინტერვალში, როცა სპექტრომეტრის ე.წ. უგრძნობლობის დრო ნაკლები უნდა იყოს 10^{-9} წარმოადგენს ტექნიკურად საკმაოდ რთულ ამოცანას. უფრო მეტიც გაძლიერების კოეფიციენტის არაერთგვაროვნებით გამოწვეული მთელი რიგი დამახინჯებები (ცალკეული სპექტრალური კომპონენტების გაფართოება, ამპლიტუდური ფარდობის დარღვევა) მოითხოვს სპეციალური მაკორექტირებელი ფილტრების და გამაძლიერებლების კონსტრუქტირებას, რაც თავისთავად კიდევ უფრო ართულებს ამოცანის განხორციელებას.

თუ ბმრ სპექტრში ფართო მრუდის ფონზე არსებობს ვიწრო სპექტრალური მრუდები, ფურიე-გარდაქმნა შეიძლება დავილად განხორციელდეს ჩვეულებრივი მეთოდებით. ამ დროს სპექტრომეტრი მკაფიოდ აფიქსირებს ამ ვიწრო მრუდების მაქსიმუმებს, თუმცა ამ დროს შეიძლება წარმოიშვას მნიშვნელოვანი ამპლიტუდური დამახინჯებანი, რომლებიც როგორც ავლნიშნეთ, გამოწვეულია გაძლიერების კოეფიციენტის არაერთგვაროვნებით. გასაგებია, რომ ჩვენს მიერ აღნიშნულ შემთხვევაში სპინური სისტემის გამოძახილი მასზე ელექტრომაგნიტური იმპულსის ზემოქმედებაზე—თავისუფალი ინდუქციის მიღევის

სიგნალი (თიმ)-ს ფურიე-გარდაქმნა შეიძლება განვიხილოთ ორგორიტონიული რაიმე "სიხშირული ლუპა", რომელიც მთელი რიგით ზრდის განვიხილოთ ტრომეტრის გარჩევისუნარიანობას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ბმრ თიმ-ს სიგნალი ^{59}Co ბირთვებზე Co-Ni-Fe ნაღნობში და ^{57}Fe ბირთვებზე ლითიუმის ფერიტში. ნახ.1-ზე მოცემულია ამ ნივთიერებათა ბმრ სპექტრი, რომელიც გადაღებულია $T=77\text{K}$ -ზე.

როგორც აჩვენა იმპულსურმა /1/ და უწყვეტი მეთოდებით /2/ ჩატარებულმა კვლევებმა Co-Ni-Fe ნაღნობის ბმრ სპექტრის $218+219$ მგპც სიხშირის უბანში, კვადრუპოლური ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშობა ვიწრო სიხშირული მრუდები ($\Delta f_{1/2}=0,1$ მგპც) რომელთა შორის მანძილი $0,17$ მგპც-რიგისაა.

წერტილ-წერტილ გავლის მეთოდის დაბალი გარჩევისუნარიანობის გამო აღნიშნული ვიწრო სტრუქტურა ვერ დაიმზირება და ამიტომ ნახაზზე არ არის დაფიქსირებული (ნახ.1.ა). მასთან სპექტრის ამ უბანში თიმ-ს სიგნალზე დამზერილი იქნა ღრმა ოსცილაციები /3/, რომლის პერიოდი სუსტად არის დამიკიდებული. ამ-ღზნები იმპულსის სიმძლავრეზე.


ნაღნობის სიხშირულ-სპექტრალური ხასიათის შესახებ უფრო სრული ინფორმაციის მისაღებად ჩატარდა /3/ ნაშრომში აღწერილი ექსპერიმენტული ოსცილაციური სიგნალის გრაფიკული ანალიზი. რადგან თიმ-ს ექსპერიმენტული სიგნალი მიღება არაკონტრინტული სპექტრომეტრით, შესაბამისი ფურიე-სპექტრიც გათვლილი არის სიმძლავრის სპექტრისთვის.

ჩვენი გათვლის შედეგები მიღებულია ნახ.1-ზე. საიდანაც ჩანს, რომ ფურიე სპექტრში ინტრნისურ მაქსიმუმებთან ერთად არსებობენ კვადრუპოლური გახლეჩვის შედეგად მიღებული მაქსიმუმები, რომელთა შორის მანძილი იზრდება. (იხ. ნახ.1.ა ქვემოთ), რაც დამახასიათებელია კვადრუპოლური გახლეჩვისათვის შეშფითების თეორიის მეორე მიახლოებაში. თითვეული მაქსიმუმის სიგანე $0,032$ მგპცია. საშუალო კვადრუპოლური გახლეჩვა ტოლია $0,17$ მგპც-ს. რაც შეესაბამება /1,2/ შრომების შედეგებს.

შემდეგი ობიექტი, რომლის ^{57}Fe ბირთვების ბმრ თიმ-ს სიგნალზე დამზერილი იქნა მკვეთრად გამოხატული ოსცილაციები $T=77\text{K}$ და $T=290\text{K}$ ტემპერატურაზე, არის სუფთა ლითიუმის ფერიტი. /4/

საქართველოს მთიანეთის მუზეუმი

ოსცილაციური სიგნალი კარგად ჩანს 71,2-72,1 მგპ. და 73,2-74,4 მგპ. სიხშირის უბნებში (1 და 11 უბანი ნახ. 1ბ-ზე ზემოთ). ოსცილაციების პერიოდი და სიღრმე სუსტად არის დამოკიდებული ამ-ლგზნები იმპულსის პარამეტრებზე. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ოსცილაციები ყველაზე კარგად ჩანს, როცა სპექტრომეტრის გატარების ზოლი შედარებით განიერია (~3 მგპ). გარდა ამისა ლითოუმის ფერიტის მყარი სსნარების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ სსნარებში Zn-ს მცირე კონცენტრაციის ($\lambda \geq 0,1$) მინარევების არსებობის დრო-საც კი თიმ-ს სიგნალზე ოსცილაციები ჭრიბა /4/.



ნახ. 1. ბმრ სპექტრი რომელიც გადაღებულია „წერტილ-წერტილ გავლის მეთოდით (ზემოთ) და ფურიე-გარდაქმნის საშუალებით (ქვემოთ).

ნახ.1ბ-ზე მოცემულია ლითოუმის ფერიტის სპექტრი $T=77K$ -ზე.
 ვერტიკალური ხაზები გვიჩვენებენ მონოკრისტალური ლითოუმის ფერების
 რიტის სიხშირეებს და ინტენსივობებს /5/. ნახ.1ბ-ს ქვედა ნაწილში
 მოცემულია ნიმუშის ბმრ თიმ-ს გრაფიკული ფურიე-სპექტრი, რომე-
 ლიც აღიგზნება 74,1 მგჰ-ც სიხშირეზე. გამოვლინდა "წერტილ-წერ-
 ტილ" გავლის მეთოდისთვის "უხილავი" მაქსიმუმები, რომლების
 სიხშირული განაწილება კარგად შეესაბამება ლიტერატურულ მონა-
 ცემებს. /5/

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მრავალდომენიანი
 ფერომაგნეტიკები ბის ბმრ თიმ-ს სიგნალზე გაძლიერების კოეფიციენ-
 ტის η -ს არაერთგვაროვნების დროს, როგორც რეზონანსული ასევე
 არარეზონასული /5/ აღგზნებისას ე.წ. რაბის ოსცილაცი- ები არ
 დაიმზირება. შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ოსცილაციები
 ბმრ თიმ-ს სიგნალზე ^{59}Co ბირთვებზე Co-Ni-Fe ნადნობში გამოწვეუ-
 ლია სპექტრში არსებული ერთმანეთთან ახლოს განლაგებული კვად-
 რუპოლური გახლების ვიწრო მრუდებს შორის აღგზნებით. ხოლო
 ^{57}Fe ბირთვებზე Li-ს ფერიტში შეიძლება განპირობებული იყოს ამ
 მასალის სპექტრში არსებული ერთმანეთთან ახლოს განლაგებული
 ვიწრო სპექტრალური მრუდებს შორის ძერებით. კერძოდ A-B და
 E-D მრუდებს შორის ძერებით.

ლიტერატურა

- 1 Brower H., Huber H.L. Journal of magneticm and magnetic materials N8, 1978, p.61. H
- 2 Kavakami Miagfiki. Journal of the Physikal Sotiedi of japan. v.40, N1,1976, p.56.
- 3 Шавишвили Т.М. Килиптари И.Г. Ахалкаци Т.А. Сообщение АН ГССР т.118 №1,1985г
- 4 Шавишвили Т.М.Гвалиა Т.В. сб. Радиоспектроскопия.Материалы Ессесоюзной конференции по магнитному резонансу. Перм, 1987г.
- 5 Donoshev N. D. Klochan V. A. Phys. Stat. Sol. v.9A, 1972, p.679.
- 6 თ.გვალია, მ. ჭლარქავა. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. სერ. "ფიზიკა" ტ.21, 1986, გვ.78. NA

Особенности фурье-преобразования сигнала распада свободной индукции в некоторых ферромагнитных материалах

Изложены результаты экспериментальных исследований сигнала распада свободной индукции (РСИ) на ядрах ^{59}Co сплава Co-Ni-Fe и на ^{57}Fe литиевого феррита. В процессе исследования сигналов ядерного магнитного резонанса (ЯМР) в сплавах Co-Ni-Fe в районе частоты 219 Гц было обнаружено осциллирующее поведение сигнала РСИ. Осциллирующий сигнал ЯМР также наблюдалось в образце чистого литиевого феррита, на участках 71,2-72,1 мГц и 73,2-74,4 мГц. Из литературы известно, что спектр в сплавах Co-Ni-Fe в области 218-219 мГц под влиянием квадрупольного взаимодействия расщеплен на ряд очень узких линий, с расстоянием между ними порядка 0,15-0,17 мГц. В спектре ЯМР литиевого феррита на указанных частотах также существуют спектральные линии монокристаллического литиевого феррита. Вследствие низкого разрешения метода "поточечного" прохождения, указанные тонкие структуры не фиксируются. На основе проведения графического фурье-преобразования обнаружены дополнительные максимумы, частоты распределения которых хорошо согласуются существующими литературными данными. Высказывается предположение что наблюдаемые осциляции в ЯМР ^{59}Co сплава Co-Ni-Fe и ЯМР литиевого ферита обусловлены биениями близко расположенных узких линий, существующих в спектре ЯМР этих материалов.

თიბიჯის კათედრა

გერამ გრიგალაშვილი

დაბადებათა დაღმის პირობების დაგუსტია
პროფ. ა. გენაშვილის მიხედვით

ცნობილია [2,3], რომ დაბნელებათა დაღვომისათვის აუცილებელია ორი გარემოება: 1. მთვარე უნდა იყოს სიზიგიაში, 2. მთვარე უნდა იმყოფებოდეს თავისი ორბიტის ერთ-ერთი კვანძის მახლობლობაში. მთვარის ფაზების ცვლილებების საშუალო პერიოდიდად მიღებულია სინოდური თვის ხანგრძლივობა $\sigma = 29,53058818$ დღე-ღამე, ხოლო კვანძებში დაბრუნების საშუალო პერიოდია დრაკონული თვე $\delta = 27,21221997$ დღე-ღამე. თუ შევარჩევთ ისეთ S პერიოდს, რომელიც შეიცავს σ და δ მთელ რიცხვ, მაშინ ამ დროის გასვლის შემდეგ მთვარე დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას როგორც კვანძების, ასევე მზის მიმართ და ამ დროის განმავლობაში მომხდარი ყველა დაბნელება განმეორდება პირვენდელი თანმიმდევრობით. ასეთ დამრგვალებულ პერიოდად დღეისათვის მიღებულია $6585 \frac{1}{3}$ დღე-ღამე, რაც 18 სრული წელიწადია და $10 \frac{1}{3}$ ან $11 \frac{1}{3}$ დღუ-ღამის ტოლია, როგორც ამას პერიოდორე იმოწმებს, დროის ეს შუალედი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჩვ. წელთ აღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში და მას საროსი ეწოდებოდა [2]. საროსის განმავლობაში აღილი აქვს მზის 43 და მთვარის 28 დაბნელებას, მასთან მზის დაბნელებებიდან 15 ნაწილობრივია $14 \frac{1}{4}$ რგოლისებური და 2 როგორისებურ-სრული [2].

პროფ. ა. ბენაშვილი იზიარებს უძველესი დროიდან ცნობილ და დაკვირვებებით მიღებულ შემდეგ წესებს: 1. წლის განმავლობაში არის 2 პერიოდი, რომლის მახლობლობაში ხდება დაბნელება და ეს

ორი პერიოდი ერთმანეთისაგან დაშორებულია ნახევარ წელიწადზე
ნაკლები დროით; 2. თუ რომელიმე თვეში მოხდა დაბნელება,
შეიძლება მისი განმეორება მეორე თვეშიც; 3. ორი დაბნელება
ზედიზედ იქნება ორი კვირის შუალებით სხვადასხვაგვარი (თუ
მაგალითად ერთი იყო მზისა, მეორე იქნება მთვარისა და პირიქით);
4. შესაძლებელია ზედიზედ სამი დაბნელებაც ასეთი სქემით.
პირველ მზისა, ორი კვირის შემდეგ მთვარისა და კიდევ ორი კვირის
შემდეგ კვლავ მზისა; 5. წლის განმალობაში დაბნელებათა რიცხვი
2-ზე მეტია და 7-ზე ნაკლები, მასთან თუ ეს რიცხვი მხოლოდ
ორია, ორივე დაბნელება მზისაა [2,3]

პროფ. ა. ბენაშვილის აზრით ზემოთჩამოთვლილი დებულებების
ერთობლიობა საბოლოოდ ჩამოყალიბებული თეორია არაა,
რაღანაც დაბნელების წინასწარმეტყველების არსებული
მეთოდები არადამაკმაყოფილებელია. საქმე ისაა, რომ
შეუძლებელია დაბნელების დაწყებისა და დასრულების დროის
განსაზღვრა, ასევე ცოდნა იმ აღილისა, საიდანაც გამოჩნდება
დაბნელება ან წინასწარი ცოდნა იმისა, ნაწილორივი იქნება იგი
თუ სრული. ამ და კიდევ სხვა ცნობების მიღება დამოკიდებულია
მზისა და მთვარის ურთიერთ და პორიზონტის მიმართ მათ
ფარდობით მდებარეობაზე.

პროფ. ა. ბენაშვილს გამოყენებული აქვს დაბნელების დაღვომის
ისეთი პირობა, როცა მთავრის განედი გამოისახება შემდეგ
უტოლობით [1]

$$b_{\text{შ.}} = \pi_{\text{შ.}} + \pi_{\text{შ.}} + R_{\text{შ.}} - R_{\text{შ.}}$$

სადაც $\pi_{\text{შ.}}$ - მთვარის პარადაქსია, $\pi_{\text{შ.}}$ - მზისა,

$R_{\text{შ.}}$ და $R_{\text{შ.}}$ შესაბამისად მთვარისა და მზის კუთხური რადიუსები.

ტოლობის ნიშანი აღნიშნავს იმ მომენტს, როდესაც მთვარე
მხოლოდ შეეხება დედამიწის ჩრდილს, ხოლო „ბ“ ნიშანი - თვით
მომხდარ დაბნელებას.

პროფ. ა. ბენაშვილის ითვალისწინებს მზის სხივების შათანთქმას
ატმოსფეროში, რის გამოც ჩრდილის განივი კვეთის კუთხური
რადიუსი $R_{\text{შ.}}$ იზღება თავისი სიღიდის $1/50$ -ით და ღებულობს


ასეთ ფორმულას:

$$b_{\theta_{\text{an}}} \leq R_{\theta_{\text{an}}} + \frac{51}{50}(\pi_{\theta_{\text{an}}} + \pi_{\theta_{\text{th}}} - R_{\theta_{\text{th}}})$$

ამ უტოლობითა და ქვემოთმოცემული ნახაზით ბენაშვილი ღებულობს ანალოგიურ ფორმულას მზის დაბნელებისათვის.

კერძოდ მთვრის ცენტრის განედი უნდა იყოს $b'_{\theta_{\text{an}}} = R_{\theta_{\text{an}}} + u + R_{\theta_{\text{th}}}$, სადაც u -არის კუთხე, შეღენილი დედამიწის T ცენტრიდან მზისა და მთვრისადმი გავლებული მხებებების მიერ. ცხადია $u = \pi_{\theta_{\text{an}}} - \pi_{\theta_{\text{th}}}$ და მაშასადამე მზის დაბნელების პირობაც ასეთ სახეს მიიღებს

$$b'_{\theta_{\text{an}}} \leq \pi_{\theta_{\text{an}}} - \pi_{\theta_{\text{th}}} + R_{\theta_{\text{th}}} + R_{\theta_{\text{an}}}.$$



თუ მოვახდენთ (1) და (2) ფორმულების შედარებას, ვნახავთ, რომ პირველ შემთხვევაში იღგილი აქვს $R_{\theta_{\text{th}}}$ -ის, ხოლო მეორე

$\pi_{\theta_{\text{th}}}$ -ის გამოკლებას და რაღანაც $\pi_{\theta_{\text{th}}} < R_{\theta_{\text{th}}}$, ამიტომ შეიძლება

დავასკვნათ, რომ უფრო ხშირად აღგილი აქვს მზის დაბნელებას, ვიდრე მთვარისას, რაც მართლაც შეესაბამება სინამდვილეს.

ამის შემდეგ, პროფ. ა., ბენაშვილი აღენს ცხრილს, სადაც

მოცემულია $R_{\theta_{\text{th}}}, R_{\theta_{\text{an}}}, \pi_{\theta_{\text{an}}}, \pi_{\theta_{\text{th}}}$. და $\rho_3 : \frac{51}{50}(\pi_{\theta_{\text{an}}} + \pi_{\theta_{\text{th}}} - R_{\theta_{\text{th}}})$ სიღიდეთა მაქსიმუმები და მინიმუმები. ცხრილის საშუალებით კი

შესაძლებელი ხდება დადგინდეს მზისა და მთვარის
დაბნელებისათვის და ქვედა და ზედა საზღვრები. თუ მაგალითად,
სრულმთვარეობის ან ახალმთვარეობის დროს მთვარის განედი
ნაკლები იქნება და მნიშვნელობები სქვედა საზღვარზე,
აუცილებლად ექნება ადგილი დაბნელებას, ხოლო თუ იგი
აღმოჩნდება ხსენებული სიღილების ზედა საზღვარზე მეტი,
დაბნელებას ადგილი არ ექნება, დაბოლოს თუ მთვარის განედი
მოთავსებულია ზედა და ქვედა საზღვრებს შორის, მაშინ ყველა
ცალკეული შემთხვევებისათვის (1) და (2) ფორმულებში უნდა
შევიტანოთ და სიღილეების შესაბამისი მნიშვნელობანი და
დავრწმუნდეთ იმაში, გამოყვანილ ზღვარზე მეტია თუ ნაკლები
მთვრის განედი.

	$\pi_{\text{გთ.}}$	$\pi_{\text{გმ.}}$	$R_{\text{გთ.}}$	$R_{\text{გმ.}}$	$b_{\text{გთ.}}$	$b'_{\text{გთ.}}$	$\frac{51}{50} \rho'_{\text{გთ.}}$
მაქსიმუმი	61°27''	9''	16° 46''	16°18''	62°36''	94° 22''	46° 45''
მინიმუმი	53°56''	9''	14°44''	15°46''	52°31''	82° 16''	38° 32''

მზის დაბენელების შემთხვევაში (2) ფორმულაში $b'_{\text{გთ.}}$ -განედის
ზედა საზღვრის დასადგენად $\pi_{\text{გთ.}}$, $R_{\text{გთ.}}$ და $R_{\text{გმ.}}$ სიღილეებისათვის
ა. ბერნაშვილი ღერუბლოს მაქსიმალურ, ხოლო $\pi_{\text{გმ.}}$ -თვის
მინიმალურ მნიშვნელობას. ამ სიღილეების შესაბამისი
შებრუნებული მნიშვნელობებისათვის, ე.ი. როცა იქნება
მინიმალური, ხოლო მაქსიმალური, მიღება ქვედა საზღვარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილი და სიღილეების
მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები:

ახლა განვსაზღვროთ ის მაქსიმალური მანძილი გრძედის
მიმართულებით, რომელიც უნდა არსებობდეს მთვარიდან მის
კვანძამდე იმ შემთხვევაში, როცა დაბნელება აუცილებლად

მოხდება ან თუ მოსალოდნელია.

მივმართო ნახაზს, რომელზეც წარმოგენილია ეკლიპტიკული მთვარის ორბიტა. L არის მთვარის რომელიმე მდებარეობა


აღმავალი კვანძის მახლობლად, $b_{\text{მთ.}}$ და $l_{\text{მთ.}}$ მთვარის განედი და გრძელი განსახილველ მომენტში T არის დედამიწა და მოიაზრება ციური სფეროს ცენტრში i არის მთვრის ორბიტი ეკლიპტიკისადმი დახრის კუთხე ტოლი $5^{\circ}8'48''$ -სა. მართკუთხა სამკუთხედი ΩAL - დან ზემოხსენებული დაშორება შეიძლება გამოყვანილ იქნეს შემდეგ ფორმულიდა:

$$\sin(l_{\text{მთ.}} - \Omega) = \frac{\operatorname{tg} b_{\text{მთ.}}}{\operatorname{tg} i}$$

$\text{განედი } b_{\text{მთ.}} \text{ და } b'_{\text{მთ.}}$	$l_{\text{მთ.}} - \Omega$	$2(l_{\text{მთ.}} - \Omega)$	
მთვარის დაბნელება $52^{\circ}31' ; 62^{\circ}36'$	$9^{\circ}46'$ $11^{\circ}40'$	$16^{\circ}32'$ $14^{\circ}20'$ $32^{\circ}36'$ $35^{\circ}36'$	აუცილებლად დაბნელ. არე მოსალოდნელ დაბნ. არე
მზის დაბნელება $84^{\circ}16' ; 84^{\circ}2'$	$15^{\circ}48'$ $17^{\circ}45'$	აუცილებლად დაბნელ. არე მოსალოდნელ დაბნ. არე	

მთვრის მეორე L' მდებარეობაში ეკლიპტიკის ქვემოთ, როცა მისი უარყოფითი განედი აბსოლუტურად იგივე $b_{\text{მთ.}}$ -ს ტოლი იქნება, მივიღებთ ისევე $(l_{\text{მთ.}} - \Omega)$ მანძილს [1]

მაშასადამე, ხსენებული მანძილის გაორკეცება, რომელიც გამოთვლილი იქნება $b_{\text{მთ.}}$ -ის კიდურა მნიშვნელობებისათვის, მოგვცემს იმ არეს, რომლეშიც აუცილებელია დაბნელება გრძელის მიმართულებით.



კორც ცნობილია [2,3,4], მთვარის ანძები მზის მიმართ ქმნიან სინოდურ არშემოვლას 346,62 საშუალო დღე-ამის განმავლბაში. თუ ამ ჩიცხვს 19-ე გავამრავლეთ, მივიღებთ სარისის ანგრძილვობას $346,62 \text{დღე-} 19\text{-მე}\times 19 = 6585,78 \text{ დღე-ლამე}$
რაღაც კვანძები დღედამიწის შემო გარემოიქცევიან დაახლოებით ეოთი წლის განმავლბაში (346,62) და მაშასადამე დედამიწასა და მზეს შორის მოექცევა ხან ერთი, ხან მეორე კვანძი მთელი წლის განმავლობაში, ამდენად ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ წლის განმავლობაში არის ორი პერიოდი, როდესაც ადგილი ექნება მზისა და მთვარის დაბნელებას.

რაღაც მთვარის კვანძები დღე-ლამეში გადაადგილდებიან სინოდური თვის განმავლბაში -ით, ხლო მზის დაბნელებათა მოსადენი არე შეადგენს, ამდენად მზის დაბნელება შეიძლება მოხდეს ორჯერაც და განმეორედს ერთი თვის შემდეგაც.

დაბოლოს, ვიცით, რომ წლის განმავლობაში შეიძლება მოხდეს 7 დაბნელებაზე მეტი. ეს კი მიმით აისხნება, რომ კვანძების სრული მოქცევის განმავლობაში შესაძლებელია მოხდეს მაქსიმუმი მზის 4 და მთვრის 2 დაბნელება, ხოლო ზელსაყრელ პირობებში დარჩენილ 11 დღე-ლამეში შეიძლება მოხდეს კიდევ ერთი დაბნელება. თუ წარმოვიდგენთ, რომ რომელიმე წლის პირველ იანვარს მოხდა მზის დაბნელება, ორი კვირის შემდეგ კი მთვარისა, კიდვ ორი კვირის შემდეგ კვლავ მზისა, დაახლოებით ნახევრი ლის შემდეგ, ე.ი. ივნისსად ა ივლისში შესაძლებელია მოხდეს კიდვ სამი დაბნელება ე.ი. ზედიზედ სულ ექვსი. რაღაც დაბნელებთა მომენტი ყოველწლიურად 11 დღე-ლამით უკან იწვევს, ამიტომ პირველი იანვრის შესატყვისი მე-7 დაბნელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ 21 დეკემბრის მახლობლბაში. რაღაც რიგით მე-8 დაბნელება მოსალოდნელია ორი კვრის შემდეგ, იგი მოხდება უკვე მომავალ წელში და მაშასადამე ნებისმიერი წლის დაბნელებათა საერთო რიცხვი ვერ იქნება 7-ზე მეტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ბენაშვილი - „სფერული ასტრონომია“ გამომცემული
„ტექნიკა და მრობა“, თბილისი, 1938
2. А.А. Михайлов - "Теория затмений", "Гостехиздат" - 1954
3. В.А. Шишаков - "Солнечное затмение", изд. "Знание", Москва
1966
4. М.М. Дагаев - "Солнечное и лунные затмения, Москва, "Наука"
-1978
5. გ. კვირკველია - „მზისა და მთვრის დაბნელება, თბილის
1966, „კოდნა“.

Григалашвили Г.А.

**Уточнения условий наступления затмения по проф. А. Бенашвили
резюме**

В труде рассматриваются необходимые для затмения условия и полученные в результате продолжительных наблюдений те правила, которые известны еще с незапамятных времен.

По причине того, что теория, построенная на этиз наблюдениях, на даст условии определить месторасположение тез географических пунктов, откуда можно непосредственно наблюдать за ходом явления, периоды начала и кончания затмения, также предварительное знание того, будет ли затмение частичным или полным проф. А. Бенашвили считает неодовлотоврительным использование данной теории.

Заслуга проф. А. Бенашвили заключается в том, что им была получено заключение, почему затмение солнца происходит чаще, чем затмение луны.

В заключении проф. А. Бенашвили уточняет известные правила и определяет их так: Если затмение Солнца произошло в камо либо месяце то оно может повторяться и в другом если произошло два разных затмения подряд и интервалом в неделю, и первое из них было солнечное второе обязательно будет лунным и наоборот. Также возможны три затмения в следующей последовательности: первое солнечное, через две недели лунное и еще через две недели- солнечное. Кроме того, в течение года чило затмени больше двух или меньше семи, к тому зже если ето число -2, оба затмения-солнечные. Также точно установлено, почему невозможно, чтобы в течение года произошло больше семи затмени, ис если ето число равно семи, то четыре из них - солнечные, а три лунные затмения.

ფიზიკის კათედრა

ეთერ დიდმანიძე, ნატო განლარია

კურორტ ბაზარის მიღავონას ქარცლფრთიანია (MACROLEPIDOPTERA) ვაუნის შესრულებისათვის

კურორტ ბახმაროსა და მისი მიდამოებში გავრცელებული პეპლების შესახებ ლიტერატურული ცნობები არ მოგვეპოვებოდა. იმ ტერიტორიიდან ქერცლიტოთიანთა მასალები არც საკავშირო და არც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში არ ინახება, თუ არ ჩავთვლით 3 ეგზემპლარს, რომელიც პედაგოგ ქ. თოხაძეს გადაუცია საქართველოს მუზეუმისათვის 1939 წელს.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის შევსების ცდაა.

ფაუნისტურ სიას საფუძვლად უდევს კურორტ ბათმაროსა და მის მიდამოებში ფრაგმენტულად, წინა წლებში /1970-1999/ ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები. მასალების შესაგროვებლად ვიყენებით დღისით და შებინდებისას მწერბადეს, ხოლო ღამით 30 სანთლიან ნაგთის ლამპას სახაროვის მწერსაჭერით. კვლევა ჩატარებულია შემდეგ პუნქტებში: მუკურებული, სომლია, ბათმარო, ბახვის თავი, განდრეკილი, ბუქსიეთი, მეჩუთი, ბაისურა, ზოტიყელი, დიდი და პატარა ფაფარა, კონცხი, პატარა ბათმარო და საყორნია. ჩვენს მიერ გარკვეული და მოტანილია 125 სახეობა. ეს ცნობა პირველადი წყაროა საკვლევი ტერიტორიისათვის.

ଓঁ প্ৰিয়ানৰোজি মোসালো
or, Papilionidae

1. *Parnassius mnemosyne* L. ფაფარა 16, 17 VII, სუბალპური ტყე, ტყის ზედა ზოლი, მაღალბალახეულობა დიდი რაოდენობით.
 2. *P. nordmanni* Ev. საყორნია VII, სუბალპური და ალპური მდელოები.

ოჯ. Pieridae

3. *Pieris rapae* L. პატარა ბახმარო 18 VIII, ფაფარა 16 VII; ყველგან.
4. *P. brassicae* L. ფაფარის სერი 14 VIII, ბახმარო 22 VII, ტყე სუბალპური და ალპური მდელოები.
5. *P. napi* L. ბახმარო 14, 18 VII, კონცხი, 18 VIII, ზოტიუელი, 17 VIII, ყველგან დიდი რაოდენობით. მთამაღალში ჭარბობს *f.caucasica* Vrty.
6. *Leucochloe daplidice* L. ბაისურა 17 VII, პატარა ბახმარო. 17, 18 VII, სუბალპური ტყე და მდელო, მცირე რაოდენობით
7. *Euchloe cardamines* L. მეჩუთი 15 VII, სუბალპური ტყის ზედა ზოლი, გვხვდება იშვიათად.
8. *Colias croceus* Frr. ფაფარა 15-17 VII, ბახმარო 22 VII, 18 VIII. ბუქსიეთი 19 VIII, ყველგან, მცირე რაოდენობით
9. *Gonopteryx rhamni* milijnovskii N. ფაფარა 16, 17 VII, ბახმარო 27 VII; ყველგან, დიდი რაოდენობით
10. *Leptidia sinapis* L. ბახმარო 17, 18 VIII; სუბალპური ზონა, იშვიათად.

ოჯ. Satiriade

11. *Erebia medusa* F. განდრეკილი 19 VII, საყორნია 18 VIII; სუბალპური და ალპური მდელოები, მცირე რაოდენობით.
12. *E. aethiops melusina* HS. განდრეკილი 19 VII, სომლია 16 VIII ბახვის თავი; ყველგან, დიდი რაოდენობით
13. *E. prometheus* Schel. ფაფარა 16 VII, ალპური მდელო.
14. *Pararge maera orientalis* Stgr. ბახვის თავი 21 VII. საყორნია 19 VIII, მდ ბახვისწყლის ხეობა, შიშველი კლდეები და ნაშლები, იშვიათად.
15. *P. ageria egerides* Stgr. ბახმარო 22 VII, პატარა ბახმარო 18 VIII, ტყე.
16. *Epinephele jurtina* L. განდრეკილი 19 VII, ზოტიუელი 17 VIII, ტყე, სუბალპური მდელოები.
17. *Coenonympha pamphilus* L. ბახმარო 16 VII, ბაისურა 16 VII, მდინარის ნაპირებთან, მდელოზე.

ოჯ. Nymphalidae

18. *Pyrameis atalanta* L. მეჩუთი 15 VII, ბაისურა 17 VII, განდრეკილი 19 VIII; ყველგან.
19. *P. cardui* L. ფაფარას სერი 14 VII, ბახმარო 18 VII, ბახვის თავი 21 VII; ყველგან, ხშირად.
20. *Vanessa jo* L. ბაისურა 16 VII, ხეობა.
21. *V. urticae turcica* Stgr. ფაფარა 16 VII, ბახმარო 18-22 VII.
22. *V. polychloros* L. ბახმარო 14 VII, სუბალპური ზონა.
23. *Polygonia c-album* L. ფაფარა 16 VII, ბახმარო 22 VII სუბალპური მდელო.
24. *Melithaea didyma* O. განდრეკილი 19 VII, ზოტიყელი 11 VII, სუბალპური და ალპური მდელოები.
25. *M. athalia caucasica* Rühl. ბაისურა 16 VII, პატარა ბახმარო 18 VII, სუბალპური და ალპური მდელოები.
26. *M. Dyctinna* Esp. ფაფარას სერი 14 VII, განდრეკილი 19 VII, სუბალპური ზონა.
27. *Brenthis euphrosyne* L. ფაფარა 16,17 VII, ბახმარო 22 VII, სუბალპური ზონა, ყველგან.
28. *B. pales* Siff. ფაფარა 16,17 VII, ბახმარო 22 VII, ზოტიყელი 17 VIII, სუბალპური მაღალბალანეული, მზიურაზე. დიდი რაოდენობით.
29. *Argynnис niobe* L. განდრეკილი 19 VII, საყორნია 11 VIII, მდელო, მცირე რაოდენობით.
30. *A. paphia* L. ბაისურა 17 VII, 16 VIII, სუბალპური ზონა, მცირე რაოდენობით.

ოჯ. Lycaenidae

31. *Chrysophanus virgaurea* L. ფაფარა 16 VII, განდრეკილი 17 VIII, ხეობა.
32. *Ch. dispar rutilus* Wernb. ბახმარო 18 VII, ფაფარა 16 VII, ზოტიყელი 17 VII, სუბალპური დაბალბალანეული, მცირე რაოდენობით.
33. *Ch. Dorilis Huffn.* ზოტიყელი 17 VIII, სუბალპური მდელო.

34. *Ch. hyppothoë* L. საყორნია 18 VII, სუბალპური მაღალბალახეული.
35. *Lycaena icarus* Rott. ფაფარას სერი 14 VII, ფაფარა 16 VII, ზოტიყელი 17 VII, განდრეკილი 19 VIII, სუბალპური და ალპური მდელოები.
36. *L. astrarche* Bgstr. ფაფარა 16 VII, ბახმარო 22 VII, 15 VIII; მაღალბალახეული, ხეობა; ხშირად.
37. *L. medon modestus* Nekr. განდრეკილი 19 VII, საყორნია 11 VIII, ზოტიყელი 17 VII, სუბალპური და ალპური მდელოები.
38. *L. semiargus* Rott. ბახვის თავი 21 VII, ხეობა-ფერდობები, მცირერაოდენობით.

ოჯ. *Hesperiidae*

39. *Augiaades sylvanus* Esp. პატარა ბახმარო 14 VII, ბახმარო 17 VII, ტყე, სუბალპური ზონა.

40. *Hesperia pontica* Rev. ბაისურა 21 VII, ზოტიყელი 17 VIII, მდელო.

41. *H. orbifer* Hb. ზოტიყელი 17 VII, ბახმარო 20 VII, ხეობის ფერდობები, სუბალპური ტყე და მაღალბალახეულობა.

ოჯ. *Sphyngidae*

42. *Macroglossa stellatarum* Esp. ფაფარა 16 VII, ყველგან.

ოჯ. *Notodontidae*

43. *Lophopteryx cuculla* Esp. ბახმარო, 18 VII, სუბალპური და ტყის შუა ზონა.

44. *L. camelina* L. ბახმარო 14 VII, სუბალპური ტყე.

ოჯ. *Lasiocampidae*

45. *Malacosoma neustria* L. ბაისურა 15 VII, პატარა ბახმარო, 15-18 VIII, ტყის ზონა.

ოჯ. *Noctuidae*

- საქართველოს
მუზეუმი
46. *Acronicta psi* L. განდრეკილი 19 VII, სუბალპური ზონა, ყველგან.
47. *Chamaepora euphorbia* F. ბახმარო, 17 VII, ტყესა და ტყის ნიშანები, ყველგან.
48. *Craniophora ligustri* F. მუვეწყალი 9-11 VIII, ტყეში, ყველგან.
49. *Graphiphora c-nigrum* L. ბახმარო 22 VII, ყველგან.
50. *G. ditrapezium* L. ფაფარა 16 VII, ფაფარას სერი 18 VII, ბახმარო 20-21 VII, ყველგან, ხშირად.
51. *Euxoa cinerea* Siff. ფაფარა 14 VII, სუბალპური ზონა და ალპური მდელო.
52. *E. conspicua* Hb. მუვეწყალი 9-11 VII, წიფლნარი და სუბალპური ტყე.
53. *Agrotis ypsilon* Rott. განდრეკილი 17-18 VII, საყორნია 11-13 VIII, ტყიანი ფანჯრები, მდელო.
54. *A. saucia* Hb. საყორნია 18 VII, 11 VIII, ზოტიყელი 17 VIII, სუბალპური მაღალბალახეული და მდელო.
55. *A. corticae* Hb. ბახმარო 19-20 VII, პატარა ბახმარო 18 VII, ბაისურა 22 VII, ტყე და სუბალპური მდელო.
56. *A. putris* L. ბახმარო 14 VII, 22 VII, ტყის ზონა.
57. *Cyrebia luperinoides* Gw. ბახმარო 20 VII, 17-24 VII, ფაფარა 15-16 VII, საყორნია 11 VIII, სუბალპური და ალპური მდელო, ხშირად.
58. *Polia persicariae* L. ბახმარო 15-18 VII, სუბალპური ზონა და ტყის შუა ზონა.
59. *Polia genistae* Bkh. ბახმარო 20 VII, სუბალპური მაღალბალახეული.
60. *P. oleraceae* L. ბახმარო 14 VIII, აგარაკის მიღამოები.
61. *P. nana obscura* Stgr. ბახმარო 16-18 VII, მდელო.
62. *Metachrostis petricolor* Br. ბაისურა 21 VII, სუბალპური ზონა, მცირე რაოდენობით.
63. *Parastichtis monoglipha* Hufn. ბახმარო 20-21 VII, ტყე, ყველგან.
64. *Euplexia lucipara* L. ბახმარო 14-17 VII, ფაფარა 20 VII, 22 VII, პატარა ბახმარო 14 VIII, ყველგან დიდი რაოდენობით.
65. *Sideridis vitellina* Hb. ბახმარო 20-21 VII, ტყის შუა და სუბალპური ზონა.
$$\left. \begin{aligned} W_1(q) = \frac{\sqrt{\mu}}{2} \int \frac{\sqrt{F_1(q)}}{q} dq, F_1(q) = eEq^3 - 2Aq^2 + 2(z+\beta)e^2q - \alpha^2 \\ W_2(p) = \frac{\sqrt{\mu}}{2} \int \frac{\sqrt{F_2(p)}}{p} dp, F_2(p) = -eEp^3 - 2Ap^2 + 2(z-\beta)e^2p - \alpha^2 \end{aligned} \right\}. \quad (12)$$

$W(q, p, \varphi) = W_1(\varphi) + W_2(q) + W_3(p)$ ზოგადი გამოსახულების და (4) განტოლებათა გათვალისწინებით მიიღება იაკობის განტოლებანი, რომელსაც ნ. მუსხელიშვილი ჩაწერს სახით:

$$\left. \begin{aligned} & \int_{\frac{q}{2\sqrt{F_1(q)}}}^{\frac{p}{2\sqrt{F_2(p)}}} \frac{dq}{2\sqrt{F_1(q)}} - \int_{\frac{p}{2\sqrt{F_2(p)}}}^{\frac{q}{2\sqrt{F_1(q)}}} \frac{dp}{2\sqrt{F_2(p)}} = \beta' \\ & \int_{\frac{q}{2q\sqrt{F_1(q)}}}^{\frac{p}{2p\sqrt{F_2(p)}}} \frac{dq}{2q\sqrt{F_1(q)}} + \int_{\frac{p}{2p\sqrt{F_2(p)}}}^{\frac{q}{2\sqrt{F_1(q)}}} \frac{dp}{2p\sqrt{F_2(p)}} = \frac{\varphi - \varphi_0}{2} \\ & \int_{\frac{qdq}{2\sqrt{F_1(q)}}}^{\frac{pdq}{2\sqrt{F_1(q)}}} + \int_{\frac{pdq}{2\sqrt{F_2(p)}}}^{\frac{qdq}{2\sqrt{F_2(p)}}} = \frac{t - \tau}{2} \end{aligned} \right\} \quad (13)$$

აქ, ჩვენ გვერდს ავუცლით იაკობის განტოლებების ინტეგრირების იმ მეთოდების გადმოცემას, რომლებიც ცნობილია [3], მათ შორის $E=0$ დროს წყალბადის მსგავსი ატომის მოძრაობის განტოლების ინტეგრირებისა და დაქვანტვის შესაბამისი ზომერფელდის ამოცანას და განვიხილავთ მე-(13) განტოლებათა ინტეგრების წესს, რომელსაც გადმოსცემს ნ. მუსხელიშვილი თავის მოხსენებაში.

იკვლევს რა $F_1(q) = 0$, $F_2(p) = 0$ კუბურ განტოლებათა

ფესვებს $xy(q_2 \geq q \geq q_3, p_2 \leq p \leq p_3)$ სიბრტყეში, ნ. მუსხელიშვილი იაკობის განტოლებათა ინტეგრებას ანხორციელებს ვირშტრასის ელიფსური ფუნქციების $\rho(u)$, $\zeta(u)$ და $\sigma(u)$ საშუალებით, რომელთაგან $\rho(u)$ აქმაყოფილებს შემდეგ დიფერენციალურ განტოლებას:

$$\frac{d\rho(u)}{du} = \sqrt{4[\rho(u) - e_1][\rho(u) - e_2][\rho(u) - e_3]} \quad (14)$$

სადაც e_1, e_2, e_3 კუბური განტოლების ფესვებია რომელბზედაც დაღებულია პირობები:

$$e_1 + e_2 + e_3 = 0, \quad e_1 e_2 + e_1 e_3 + e_2 e_3 = -\frac{1}{4} g_2, \quad e_1 e_2 e_3 = \frac{1}{4} g_3. \quad (15)$$

g_1 და g_2 -ს უწოდებენ $\rho(u)$ ფუნქციის ინვარიანტებს და თავის მხრივ დაკავშირებულია (14) დიფერენციალურ განტოლებასთან ჩაწერილს ფორმით

$$\left(\frac{d\rho(u)}{du} \right)^2 = 4\rho^3(u) - g_2\rho(u) - g_3 \quad (16)$$

შემდეგ, ნ. მუსხელიშვილი q და p პარაბოლური კოორდინატებს უკავშირებს ვეირშტრასის ფუნქციას შემდეგი წესით

$$\left. \begin{aligned} q &= \frac{1}{eE} [\rho(\bar{u}) + a], \bar{u} = u + \omega_3 \\ p &= \frac{1}{eE} [\rho(\bar{v}) + b], \bar{v} = v + \omega_2 \end{aligned} \right\} \quad (17)$$

საღაც ω_3 და ω_2 პერიოდის განზომილების მქონე სიღიდეებია, რომლებიც შემოდის ელიფსური ფუნქციების განმარტებიდან,

$$\left. \begin{aligned} \rho(u) &= \frac{1}{u^2} + \sum_{m_1, m_2} \left[\frac{1}{(u - \varpi)^2} - \frac{1}{\varpi^2} \right] \\ \varsigma(u) &= \frac{1}{u} + \sum_{m_1, m_2} \left[\frac{1}{u - \varpi} + \frac{1}{\varpi} + \frac{u}{\varpi^2} \right] \\ \sigma(u) &= u \prod_{m_1, m_2} \left(1 - \frac{u}{\varpi} \right) \exp \left[\frac{\mu}{\varpi} + \frac{1}{2} \left(\frac{u}{\varpi} \right)^2 \right] \end{aligned} \right\} \quad (18)$$

a და b - ენერგიის განზომილების პარამეტრებია.

თავად $\rho(u)$, $\zeta(u)$ და $\sigma(u)$ ფუნქციები ერთშეორებულია თანაფარდობებით:

$$\rho(u) = -\zeta'(u), \zeta(u) = \frac{\sigma'(u)}{\sigma(u)} = \frac{d}{du} \ln \sigma(u)$$

(19)

სადაც u კომპლექსური ცვლადია,

$\varpi = m_1\omega_1 + m_2\omega_2$, m_1, m_2 ნამდვილი დადებითი ან

უარყოფითი რიცხვებია, ω_1 და ω_2 კი კომპლექსური, პერიოდის განზომილების რიცხვებით. შემოღებული აღნიშვნების მიხედვით:

$$\left. \begin{aligned} F_1(q) &= \frac{1}{(eE)^2} [\rho(\bar{u}) - e_1] [\rho(\bar{u}) - e_2] [\rho(\bar{u}) - e_3] \\ F_2(p) &= \frac{1}{(eE)^2} [\rho(\bar{v}) - e_1^1] [\rho(\bar{u}) - e_2^1] [\rho(\bar{u}) - e_3^1] \end{aligned} \right\}, \quad (20)$$

$$e_i = eEq_i - a, e_i' = -eEp_i + b, (i = 1, 2, 3), a = b = \frac{2}{3}A, \quad (21)$$

ცხადია, რომ

$$\sum_{i=1}^3 e_i = eE \sum_{i=1}^3 q_i - 3a = 2A - 3a = 0, \sum_{i=1}^3 e_i' = eE \sum_{i=1}^3 p_i + 3b = -2A + 3b = 0$$

(22)

ამასთან, 6. მუსხელიშვილი უჩვენებს, რომ

$$\left. \begin{aligned} F_1(q) &= \frac{1}{(eE)^2} \left[\frac{d\rho(\bar{u})}{d\bar{u}} \right]^2, \frac{dq}{\sqrt{4F_1(q)}} = \pm \frac{\rho(\bar{u})d\bar{u}}{eE\sqrt{4F_1(q)}} = \pm d\bar{u} \\ F_2(p) &= \frac{1}{(eE)^2} \left[\frac{d\rho(\bar{v})}{d\bar{v}} \right]^2, \frac{dp}{\sqrt{4F_2(p)}} = \pm \frac{\rho(\bar{v})d\bar{v}}{eE\sqrt{4F_2(p)}} = \pm d\bar{v} \end{aligned} \right\}, \quad (22)$$

ხოლო $F_1(q)$ და $F_2(p)$ ფუნქციების ფუნქციების განლაგება
 $(q_2 \geq q \geq q_3, p_2 \leq p \leq p_3)$ არეში, განსაზღვრავს ვიერშტრა-
 სის ფუნქციის განსაზღვრის არეს

$e_2 \leq \rho(\bar{u}) \leq e_3; e_3' \leq \rho(\bar{v}) \leq e_2'$; ითვალისწინებს რა, რომ
 ელიფსური ფუნქციები $\rho(\bar{u})$ და $\rho(\bar{v})$ კომპლექსური ფუნ-
 ქციებია ორმაგი პერიოდით $2\omega_1$ და $2\omega_1'$, რომელთაგან ω_1 -
 ნამდვილია, ω_1 , კი წარმოსახვითი, ნ. მუსხელიშვილი აღვენს, რომ
 როცა $u = 0,2\omega_1, 4\omega_1, \dots$, მოძრავი ელექტრონის ტრაექტორია
 შემოსაზღვრულია $q_3 = \text{const}$ პარამოლის შტოთი, ხოლო
 $u = \omega_1, 3\omega_1, \dots$, კი $q_2 = \text{const}$ -თი. ასევე,

$v = 0,2\omega_1, 4\omega_1, \dots$ შესაბამისად, ელექტრონის ტრაექტორია
 შემოსაზღვრულია $p_2 = \text{const}$ პარამოლის შტოთი, ხოლო
 $v = \omega_1, 3\omega_1, \dots$, კი $p_3 = \text{const}$ პარამოლის შტოთი.

ამ ვითარების გათვალისწირებით მე-(13) განტოლებათა სის-
 ტემის I და II განტოლება დაიყვანება სახეზე:

$$eE \frac{t-\tau}{\sqrt{\mu}} = -\zeta(u) + \zeta(v) - \frac{1}{2} \left\{ \frac{\rho'(u)}{\rho(u) - e_3} - \frac{\rho'(v)}{\rho(v) + e_2'} \right\} + a\beta'. \quad (23)$$

მოცემულ პირობებში, e_i და e_i' -სათვის შერჩეული აქვს
 $F_1(q) = 0$ და $F_2(q) = 0$ ფუნქციების მიახლოებითი მნიშვნელობანი

$$\left. \begin{array}{l} e_1 = \frac{1}{3} A + \sqrt{A^2 - 2e^3 E(z + \beta)} > 0 \\ e_2 = \frac{1}{3} A - \sqrt{A^2 - 2e^3 E(z + \beta)} < 0 \\ e_3 = -\frac{2}{3} A < 0, \sum_{i=1}^3 e_i = 0 \end{array} \right\}$$

$$\left. \begin{array}{l} e_1' = \frac{1}{3} A + \sqrt{A^2 + 2e^3 E(z - \beta)} > 0 \\ e_2' = -\frac{2}{3} A < 0, \sum_{i=1}^3 e_i' = 0 \\ e_3' = \frac{1}{3} A - \sqrt{A^2 + 2e^3 (z - \beta)} < 0 \end{array} \right\}, \quad (24)$$

რომლის გათვალისწინებით, ნ. მუსხელიშვილი ღებულობს:

$$q = \frac{2e^2(z + \beta)}{\rho(u) + \frac{2}{3}A}, p = \frac{2e^2(z - \beta)}{\rho(v) + \frac{2}{3}A}, \quad (25)$$

$$eE \frac{t - \tau}{\sqrt{\mu}} = -\zeta(u) + \zeta(v) - \frac{1}{2} \left\{ \frac{\rho'(u)}{\rho(u) + \frac{2}{3}A} - \frac{\rho(v)}{\rho(v) + \frac{2}{3}A} \right\} + \frac{2}{3} A \beta' \quad (26)$$

მცირე სიღილის გარეშე ელექტრული ველისათვის ($E < 400$ ვოლტ/სმ), თუ უკუვაგდებთ მაღალი რიგის წევრებს გაშლაში, მიღება

$$\begin{aligned} \sqrt{e_1 - e_3} &= \sqrt{2A} \left[1 - \frac{1}{4} \frac{e^3 E(z + \beta)}{A^2} \right] \\ \sqrt{e_1' - e_3'} &= \sqrt{2A} \left[1 + \frac{1}{2} \frac{e^3 E(z - \beta)}{A^2} \right], \end{aligned} \quad (27)$$

ხოლო ელიფსური ინტეგრალის მოდული

$$k^2 = \frac{e_2 - e_3}{e_1 - e_2} = \frac{e^3 E(z + \beta)}{2A^2}; \quad k_1^2 = \frac{e_2' - e_3'}{e_1' - e_2'} = \frac{e^3 E(z - \beta)}{2A^2}. \quad (28)$$

ამავე მიახლოებაში, 6. მუსხელიშვილი ღებულობს ორმაგი ნამდვილი და წარმოსახვითი პერიოდის შემდეგ ფორმულებს

$$\begin{aligned} 2\omega_1 &= \frac{\pi}{2\sqrt{2A}} \left\{ 1 + \frac{3}{8} \frac{e^3 E(z + \beta)}{A^2} \right\}, \\ 2\omega_1' &= \frac{\pi}{\sqrt{2A}} \left\{ 1 - \frac{3}{8} \frac{e^3 E(z - \beta)}{A^2} \right\}, \end{aligned} \quad (29)$$

$$\delta = \frac{2\omega_1 - 2\omega_1'}{\omega_1'} = \frac{3}{2} \frac{zEe^3}{A^2}.$$

აქ, მიღებული ფორმულების ატომური პრობლემატიკაში გამოყენების ანალიზზე არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოძრაობის განტოლებათა (კლასიკური, თუ ქვანტურ მექანიკაში) ინტეგრირების რიგის დაწევის მუსხელიშვილის ეული მეთოდი განსხვავდება მოძრაობის განტოლებათა ელიფსურ ინტეგრალზე დაყვანის იმ მეთოდებისაგან, რომლის შესახებ საკმაო ინფორმაცია მოცემულია, თუნდაც ვ. სმირნოვის კურსის მიხედვით [7] და თავად „ატომურ კომისიაში“ აკად. ა. ნ. კრილოვის მოხსენებების ციკლში „ჰელიუმის ატომის შესახებ“ [8].

1. Н.Мусхелов, Задача о движении электрона притягивающего к неподвижному центру (ядру) в постоянном электрическом поле. Материалы Атомной комиси, СПб Архива АНР, ф. 341. Оп.2, е.х. 67. Л. 87 - 97.
2. N. Bohr, On the Effect of Eletric and Magnetic Fields on Spectral Lines. Phil. Mag. 1914, 27, 506-524: Н.Бор, Избранные Научные труды, т. I, "Наука", М., 1970б с. 169-190.
3. K. Svarzshild, Bemerkunder zur Aufspaltung der Spektrallinien im Elektrischen Feld. Vech. D.Pys., Ges. S. 20 (1914); Berliner Beziechte, s. 548-568 (1916);
4. P. Epstein, Zur Theorie des Starkeffects. Ann.d. Phys. Bd 50, s. 489-520 (1916).
5. Т.И. Ефремидзе, о решении уравнения Гамильтона - цкоби для водородоподобного атома в параболических координатах в одном неизвестном докладе Н.И. Мусхелишвили. Proceedings of Tbilisi University, Physics, 27, s. 161-181., 1989.
6. T. Efremidze, S. Kirthadze. N. Muskhelishvili About One Metods Solution of Hamilton-Jacoby Equation. <http://www.rmi.acnet.ge>. DBMPh. 2001...
7. В.И. Смирнов, Курс Высшей Математики, т. III, ч. II, "Наука", М., 1969, с. 582.
8. А.Н. Крилом, Замечания о движении электрона в атоме гелия. Мат. Атомной комисии, Арх.СПб. от. АНР, ф.341, оп. 2, е.х. 67, л. 59-62... 1920.

გარეშე ელექტრულ ველზი მოძრავი საგადაწყვეტილ ელექტრონიკულ ტრონისათვის

ჰამილტონ-იაკობის განტოლების ინტებრების მუსეალიზმის გილის მეთოდის შესახებ

თ. ეფრემიძე, ჭ. ძირიაძე

(ქუთაისის აკადი წერილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი)

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია გარეშე ელექტროულ ველში ატომის საგალენტო ელექტრონისათვის ჰამილტონ-იაკობის მოძარობის განტოლებაში ცვლადთა განცალების მეთოდი ჰარაბოლურ კოორდინატებში და მისი დაყვანა იყობის განტოლებათა სისტემაზე. ასეთი ტიპის ამოცანა ამოხსნილი იყო 1920 წ. პეტროგრადში „ატომურ კომისიაში“ 6. მუსეალიზმილის მიერ წაკითხულ და ჯერაც გამოუქვეყნებელ მოხსენებაში. ამ ნაშრომში მოცემულია იყობის განტოლებათა ინტეგრების მეთოდი ელიფსურ ფუნქციებში, რომელიც არ გვხვდება ლიტერატურაში. ელიფსურ ფუნქციათა მიმართ ტრანსცენდენტულ განტოლებათა ამონასნი 6. მუსეალიზმილის მიერ გამოყენებულია ატომური ელექტრონის ორბიტის ჩატილობის და დაკვანტების პირობის დასაღენად.

ციურ მექანიკაში ანალოგიური ამოცანა განიხილებოდა ფრანგი და რუსი მექანიკოსებისა და მათემატიკოსების - უ. ლანგრაჟის (XVIII ს.), ა. სენ-უერმენის (XIX ს.), ი. მეშჩერსკის (XIX ს.), ა. კრილოვის (XX ს.), ვ. ბელეცსკის (XX ს.) და სხვათა მიერ. მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ეს ამოცანა განიხილეს ფიზიკოს-თეორეტიკოსებმა 6. ბორმა, კ. შვარშილდმა, პ. ეპშტეინმა და ს. ბოგუსლავსკიმ, რომელთა მიერ გამოყენებული მეთოდები განსხვავებულია მუსხილიშვილისეულისაგან.

ОБ ИНТЕГРИРОВАНИИ УРОВНЕНИЯ ГАМИЛЬТОНА- ЯКОБИ ДЛЯ ВАЛЕНТНОГО ЭЛЕКТРОНА ВО ВНЕШНЕМ ЭЛЕКТРИЧЕСКОМ ПОЛЕ ПО МЕТОДУ МУСХЕЛИШВИЛИ

Т.И. Ефремидзе, Ш.Г. Киртадзе

(Кутаисский государственный институт им. А. Церетели)
резюме

В работе излагается метод разделения переменных в уравнений Гамильтона-Якоби для валентного атомного электрона во внешнем электрическом поле в параболических координатах и его сведение на систему уравнения Якоби. Задача подобного рода была решена в еще неопубликованном докладе Н.И. Мусхелишвили в 1920 г., когда он работал в "Атомной комиссии" в г. Петрограде. В этой работе дается метод интегрирования уравнения Якоби в эллиптических функциях, который не встречается в литературе. Решение полученного трансцендентального алгебраического уравнения Н.И. Мусхелишвили использовал для установления условий замкнутости орбиты атомного электрона и его квантования.

В небесной механике подобную задачу рассмотрели французские и русские механики и математики - Ж. Лагранж (XVIII), А. Сен-Джермер (XIX), И.В. Мещерский (XIX), А.Н. Крылов (XX), В.В. Белецкий (XX) и другие. В Квантовой теории атома Бора-Зоммерферда в первой четверти XX в. те же задачи были рассмотрены Н. Бором, К. Шварцшильдом, Г.Эпштейном и С.А. Богуславским, примененный пользователь Н. Мусхелишвили.

ON MUSKHELISHVILI'S METHOD OF INTEGRATING THE HAMILTON-JACOBY EQUATION FOR A VALENT ELECTRON IN THE OUTER ELECTRONIC FIELD

Tornike Efremidze, Shalva Kirtadze
(Kutaisi A. Tsereteli State Universiti)

Summary

The paper presents the method of separation of variables in the Hamilton-Jacoby equation for a valent atomic electron in the outer electronic field in parabolic coordinates, and its arrival to the system of Jacoby's equations. The problem of the same type was solved even in the unpublished paper by N.I. Muskhelishvili in 1920, when he worked at the 'Atomic commission' in Petrograd. The study presents the method of integrating of Jacoby's equations in elliptic functions, which is not attested in the specialist literature. The solution of transcendental equation in relation to elliptic functions was used by N.I. Muskhelishvili in order to establish the condition of the closeness and quanting of the orbit of an atomic election.

In celestial mechanics, an analogic problem was discussed by French and Russian mechanicians and mathematicians: J. Lagrange (18th c.), A. Saint-Germaine (19th.c.), I. Meshersky (19 th c.), A. Krilov (20 th c.), V. Beletsky (20 th c.), and others. In the first quarter of the 20th century, in Borr-Sommerfeld's atomic quantum theory, this problem was addressed by the theoretic physicists: N. Borr, K. Schwartzschild, P. Epstein, and S. Boquslavsky, the methods used by them being distinct from that of Muskhelishvili's.

დემარ თელორაპი

მსეაუქი მოლეკულების მუსტის განაწილების უნიტერ-სუერულ ფუნქციათა ბაზისში

ჰიპერსტერულ ფუნქციათა მეთოდის ერთ-ერთ უპირატესობას სხვა მიახლოებით მეთოდებთან შედარებით წარმოადგენს ის, რომ იგი სამუალებას იძლევა შედარებით მარტივად გამოითვალის მუხტისა და ელექტრული ველის განაწილება ატომებსა და მოლეკულებში. მაგალითისათვის განვიხილოთ წყალბადისა H_2 და პოზიტრონიუმის Ps_2 მოლეკულები, რომლებიც წარმოადგენენ უმარტივეს ოთხნაწილაკოვან ბმულ სისტემებს, განხორციელებულს, ატომებს შორის ჰომეოპოლარული ბმებით.

ვისარგებლოთ ოთხი ნაწილაკის 9-განზომილებიანი სივრცით და შემოვიტანოთ იაკობის ქოორდინატები [1]

$$\begin{aligned} \overrightarrow{X}_{ij} &= \sqrt{\frac{m_i m_j}{m_i + m_j}} (\vec{r}_i - \vec{r}_j) \\ \overrightarrow{Y}_{ijkl} &= \sqrt{\frac{(m_i + m_j)(m_k + m_l)}{m_i + m_j + m_k + m_l}} \left(\frac{m_i \vec{r}_i + m_j \vec{r}_j}{m_i + m_j} - \frac{m_k \vec{r}_k + m_l \vec{r}_l}{m_k + m_l} \right) \\ \overrightarrow{Z}_{kl} &= \sqrt{\frac{m_k m_l}{m_k + m_l}} (\vec{r}_k - \vec{r}_l) \\ \vec{R} &= \frac{m_i \vec{r}_i + m_j \vec{r}_j + m_k \vec{r}_k + m_l \vec{r}_l}{\sqrt{m_i + m_j + m_k + m_l}} \end{aligned} \quad (1)$$

(1) სისტემა განსაზღვრავს იაკობის ქოორდინატების ექვს ეკვივალენტურ კრებულს ($ij=12, 23, 34, 13, 41, 24$), რომელთა შორის გადასვლა შეიძლება წარმოადგენილი იქნას, როგორც ბრუნვა 9-განზომილებიან სივრცეში.

$$\begin{pmatrix} \vec{X} \\ \vec{Y} \\ \vec{Z} \end{pmatrix} = \begin{pmatrix} a_{11} & a_{12} & a_{13} \\ a_{21} & a_{22} & a_{23} \\ a_{31} & a_{32} & a_{33} \end{pmatrix} \begin{pmatrix} \vec{X}' \\ \vec{Y}' \\ \vec{Z}' \end{pmatrix} \quad (2)$$

კოორდინატთა გარდაქმნის a_{ij} მატრიცული ელემენტები ნაწილაკთა მასებით გამოისახებიან. [2]

გადავიდეთ ჰიპერსფერულ კოორდინატებზე, შემოვიტანოთ ჰიპერ-
ადიუსი ρ , რომელიც ჩვეულებრივი სამგანზომილებიანი რადი-
უს—ვექტორის მსგავსად განისაზღვრება ტოლობით:

$$\rho^2 = x^2 + y^2 + z^2 \quad (3)$$

იგი ინვარიანტს წარმოადგენს ნაწილაკთა გადანაცვლების მიმართ.
დანარჩენი რვა კოორდინატიდან ექვსი— $\varphi_x, \varphi_y, \varphi_z, \theta_x, \theta_y, \theta_z$ გან-
საზღვრავს $\vec{X}, \vec{Y}, \vec{Z}$ ვექტორების მიმართულებებს, ხოლო ორი α, β
ჰიპერრადიუსთან დაკავშირებული არიან შემდეგი ტოლობებით

$$X = \rho \cos \alpha \sin \beta, \quad Y = \rho \sin \alpha \sin \beta, \quad Z = \rho \cos \beta \quad (4)$$

მოცულობის ელემენტი $\bar{X}, \bar{Y}, \bar{Z}$, ვაქტორების 9-განზომილებიან
სივრცეში მოიცემა ფორმულით

$$dv_9 = d\vec{x}d\vec{y}d\vec{z} = \rho^8 d\rho d\Omega_9 \quad (5)$$

૬૫૮૦૯૩

$$d\Omega_9 = \sin^2 \alpha \cos^2 \alpha \sin^5 \beta \cos^2 \beta d\alpha d\beta d\Omega_x d\Omega_y d\Omega_z \quad (6)$$

სხეულოვანი კუთხის ელემენტია იმავე სივრცეში. ჰიპერსფეროს მოცულობა და სრული სხეულოვანი კუთხე 9-განზომილებიან სივრცეში მიიღება (5)-სა და (6)-ის ინტეგრებით:

$$V_9 = \int \rho^8 d\rho d\Omega_9 = \frac{32}{945} \pi^4 \rho^9$$

(7)

$$\Omega_9 = \int d\Omega_9 = 9 \frac{V_9}{\rho^9} = \frac{32}{105} \pi^4$$

9-განზომილებიანი სივრცის ჰიპერსფერულ კოორდინატებში ლაპლასის ოპერატორს აქვთ შემდეგი სახე:

$$\Delta = \Delta_x + \Delta_y + \Delta_z = \frac{1}{\rho^8} \frac{d}{d\rho} (\rho^8 \frac{d}{d\rho}) - \frac{1}{\rho^2} \hat{M}(\Omega_9)$$

୩୫

$$\hat{M}^2(\Omega_9) = \frac{1}{\sin^2 \beta} \hat{K}^2(\Omega_6) - \frac{d^2}{d\beta^2} - \frac{7 \cos^2 \beta - 2}{\sin \beta \cos \beta} \frac{d}{d\beta} + \frac{\hat{I}_z^2}{\cos^2 \beta} \quad (9)$$

9-განზომილებიანი ორბიტალური მომენტის კვადრატის ოპერატორია. $\hat{K}^2(\Omega_6)$ და \hat{I}_z^2 შესაბამისად 6-და 3-განზომილებიანი ორბიტალური მომენტების კვადრატთა ოპერატორებია:

$$\hat{K}^2(\Omega_6) = -\frac{d^2}{d\alpha^2} - 4ctg 2\alpha \frac{d}{d\alpha} + \frac{1}{\cos^2 \alpha} \hat{I}^2(\vec{x}) + \frac{1}{\sin^2 \alpha} \hat{I}^2(\vec{y}) \quad (11)$$

6- და 9-განზომილებიან ჰიპერმომეტრთა საკუთარი მნიშვნელობები შესაბამისად მოიცემიან ტოლობებით:

$$K^2(\Omega_6) = \hbar^2 k(k+4) \quad M_2^2(\Omega_9) = \hbar^2 \mu(\mu+7) \quad (12)$$

ხოლო საკუთარი ფუნქციებია

$$\Phi_{KL}^{L_X L_Y L_Z m_x m_z}(\Omega_6) = N_k^{l_x l_y} (\cos \alpha)^{l_x} (\sin \alpha)^{l_y} P_n^{l_z + \frac{1}{2}, l_{xz} + \frac{1}{2}} (\cos 2\alpha) Y_{l_x m_x}(\vec{x}) Y_{l_y m_y}(\vec{y})$$

$$\Phi_{\mu k}^{l_x l_y l_z m_x m_y m_z}(\Omega_9) = N_k^{l_x l_y} (\cos \alpha)^{l_x} (\sin \alpha)^{l_y} P_n^{l_z + \frac{1}{2}, l_{xz} + \frac{1}{2}} (\cos 2\alpha) N_{\mu + \frac{3}{2}}^{l_z, k + \frac{3}{2}} (\cos \beta)^{l_z} (\sin \beta)^k$$

$$P_m^{k+2, l_z + \frac{1}{2}} (\cos 2\beta) Y_{l_z m_z}(\vec{x}) Y_{l_y m_y}(\vec{y}) Y_{l_z m_z}(\vec{z}) \quad (14)$$

სადაც I ჩვეულებრივი სამგანზომილებიანი ორბიტალური მომენტია, ხოლო k და μ შესაბამისად პირველი და მეორე რიგის ჰიპერ-მომენტები ანუ ორბიტალური მომენტები 6 და 9-განზომილებიან

Տարբերակը պահանջում է, որ պատճենը լինի գոյացություն ունեցող մասնակի կողմէից՝ ունակ լինելու համար:

ნისაზღვრებიან შემდეგი ტოლობებით -

$$N_k^{l_x, l_y} = \sqrt{\frac{2n!(k+2)\Gamma(n+l_x+l_y+2)}{\Gamma(n+l_x+\frac{3}{2})\Gamma(n+l_y+\frac{3}{2})}}, \quad (15)$$

$$N_a^{b,c} = \sqrt{\frac{2n!(a+2)\Gamma(b+c+d+2)}{\Gamma(b+d+\frac{3}{2})\Gamma(c+d+\frac{3}{2})}}$$

(16)

$$d = \frac{1}{2}(a - b - c), \quad m = \frac{1}{2}(\mu - k - l_z), \quad n = \frac{1}{2}(k - l_x - l_y).$$

$P_n^{I_y+\frac{1}{2}, I_x+\frac{1}{2}}$ $P_m^{k+2, I_z+\frac{1}{2}}$ – օյցոնձու პოլունոմեბու. (13) და (14) ნორმი-
რებული არიან შესაბამისად 6 და 9– განხომილებიან სივრცეებში.

ოთხი ნაწილაკის 9-განზომილებიანი სივრცის იმ წერტილის
მახლობლობაში ნაწილაკის მოხვედრის ალბათობა, რომლის ჰიპერჟო-
ორდინატებია $\rho, \theta_x, \theta_y, \theta_z, \varphi_x, \varphi_y, \varphi_z, \alpha, \beta$

ମନୋପ୍ରେମା ତ୍ୟଗକରମ୍ଭଲୀଳିତ

$$\begin{aligned} \omega(\rho \delta \theta_{\text{h}}, \theta_y, \theta_z, \varphi_x, \varphi_y, \varphi_z, \alpha, \beta) d\vec{x} d\vec{y} d\vec{z} &= \left| \Psi(\vec{x}, \vec{y}, \vec{z}) \right|^2 dV_9 \\ &= \left| \Psi(\vec{x}, \vec{y}, \vec{z}) \right|^2 \rho^8 d\rho d\Omega_9 \end{aligned} \quad (17)$$

სადაც $\Psi(\vec{x}, \vec{y}, \vec{z}) - \omega$ თნაშილაკოვანი ბმული სისტემის $E(0)$ ტალღური ფუნქციაა, მას აქვს შემდეგი სახე [3]

$$\Psi(\vec{x}, \vec{y}, \vec{z}) = (2\chi_0^{\mu kN})^{\frac{\mu+9}{2}} \sqrt{\frac{N!}{2(\mu+4)(N+2\mu+7)!}} x \quad (18)$$

$$\rho^\mu e^{-\chi_0^{\mu kN}\rho} L_N^{(2\mu+7)}(2\chi_0^{\mu kN}\rho) \Phi_{\mu l N}^{(l)k}(\Omega_9)$$

იგი შეიძლება წარმოდგენილი იქნას ჰიპერრადიანული $\varphi_{\mu L}^{(l),k}(\rho)$ და ჰიპერსფერული $\Phi_{\mu L N}^{(l),(m)}(\Omega_9)$ ფუნქციების ნამრავლის სახით:

$$\Psi(\vec{x}, \vec{y}, \vec{z}) = \rho^{-4} \phi_{\mu\ell}^{(l),k}(\rho) \phi_{\mu kn}^{(l),m}(\Omega_9) \quad (19)$$

საღატ

$$\varphi_{\mu_L}^{(I)k}(\rho) = (2\chi_0^{\mu k N})^{\mu+\frac{9}{2}} \sqrt{\frac{N!}{2(\mu+4)(N+2\mu+7)}} \rho^{\mu+4} e^{\chi_0^{\mu k N} \rho} L_N^{(2\mu+7)}(2\chi_0^{\mu k N} \rho) \quad (20)$$

$$\text{ხოლო } \chi_0^{\mu k N} = -\frac{\sqrt{2mE_j^{\mu k N}}}{\hbar}, \quad (21)$$

$E_j^{\mu k N}$ -ოთხნაშილაკოვანი ბმული სისტემის ენერგიაა და მოიცემა ფორმულით [3]

$$E_j^{\mu k N} = -\frac{|I(\mu, k, l)|^2}{|j(\mu)|^2} \frac{m}{2\hbar^2} \quad (22)$$

სადაც $I(l_x, l_y, l_z)$ - ჩვეულებრივი ორბიტალური მომენტების ერთობლიობაა, m -ელექტრონის მასაა, $j(\mu) = N + \mu + 4 - \text{მთავარი კვანტური რიცხვი}$, რომლის მნიშვნელობებსაც განსაზღვრავს $N=0,1,2,\dots$ და $\mu = 0,2,4,\dots$ კვანტური რიცხვების მნიშვნელობები.

ძირითად მდგომარეობაში ($N = 0, k = 0, \mu = 0$) მთავარი კვანტური რიცხვის მნიშვნელობაა $j(0) = 4$ და ოთხნაშილაკოვანი სისტემის ტალღური ფუნქცია და ენერგია მოიცემიან შემდეგი ანალიზური გამოსახულებით:

$$\Phi_0(\vec{x}, \vec{y}, \vec{z}) = \frac{2}{3\sqrt{35}} (\chi_0^{000})^{\frac{9}{2}} e^{-\chi_0^{000}\rho} \Phi_0^{(0)(0)}(\Omega_9) = \rho^{-4} \varphi_0^{(0)0}(\rho) \Phi_0^{(0)(0)}(\Omega_9) \quad (23)$$

$$E_4^{000} = -\frac{1}{16} \frac{m}{2\hbar^2} |I(0,0,0)|^2 \quad (24)$$

თუ (23) შევიტანთ (18)-ში და მოვახდენთ ინტეგრებას კუთხური ცვლადების მიხედვით, მაშინ მივიღებთ ელექტრული მუხტის შოხვედრის ალბათობას ρ რადიუსიანი ჰიპერსფეროს $d\rho$ სისქის ფენაში,

ანუ $\frac{32}{105} \pi^4 \rho^8 d\rho$ ჰიპერსფეროს ფენაში

$$\omega(\rho) d\rho = \frac{4}{315} \chi_0^9 e^{-2\chi_0\rho} \rho^8 d\rho \quad (25)$$

$$\text{ამრიგად } f(\rho) = \omega(\rho) = \frac{4}{315} \chi_0^9 e^{-2\chi_0\rho} \rho^8 \quad (26)$$

წარმოადგენს ოთხნაშილაკოვანი ბმული სისტემის ელექტრული მუხტის განაშილების ფუნქციას. იგი განსაზღვრავს ელექტრული

მუხტის აღმოჩენის ალბათობას ρ რადიუსიანი ჰიპერსფეროს ზედაცემის პირზე, ჰიპერრადიუსის მიმართულებისაგან დამოუკიდებლად.

ავაგოთ ელექტრული მუხტის განაწილების ფუნქციის (26) გრაფიკები წყალბადისა H_2 და Ps_2 მოლეკულებისათვის, რისთვისაც ვიპოვოთ (26)-ე ფუნქციის ექსტრემუმი:

$$\frac{df(\rho)}{d\rho} = \frac{4}{315} \chi_0^9 (8\rho^4 e^{-\chi_0 \rho} - 2\chi_0 \rho^8 e^{-2\chi_0 \rho}) = 0$$

$$\text{საიდანაც } \rho_0 = \frac{4}{\chi_0} \text{ და ვლებულობთ}$$

$$f_{\max}(\rho) = \frac{4\chi_0}{315} \left(\frac{4}{e} \right)^8 \quad (27)$$

წყალბადისა და პოზიტრონიუმის მოლეკულებისათვის, ჰიპერსფერულ ფუნქციათა მეთოდი პირველ მიახლოებაში, ძირითადი მდგომარეობის ენერგიებისათვის იძლევა შემდეგ მნიშვნელობებს [3]

$$E_{He}^0 = -30,356 \text{ ევ}, \quad E_{Ps_2}^0 = -11,861 \text{ ევ}.$$

მათ საფუძველზე (21)-დან χ_0 -თვის ვლებულობთ:

$$\chi_{H_2}^{H_2} = 2,83 \frac{1}{A}, \quad \chi_{_0}^{Ps_2} = 1,7699 \frac{1}{A}$$

χ_0 -ის მიღებული მნიშვნელობების გათვალისწინებით (26)-ში, საბოლოოდ ვლებულობთ მუხტის განაწილების ფუნქციებს წყალბადისა და პოზიტრონიუმის მოლეკულებისათვის:

$$\begin{aligned} f_{H_2}(\rho) &= 147,8 \rho^8 e^{-5,56\rho} \\ f_{Ps_2}(\rho) &= 2,165 \rho^8 e^{-3,54\rho} \end{aligned} \quad (28)$$

აღნიშნული ფუნქციები მაქსიმუმებს აღწევენ შესაბამისად ჰიპერრადიუსის შემდეგი მნიშვნელობებისათვის

$$\rho_{H_2}^0 = 1,4134 A \quad \text{და} \quad \rho_{Ps_2}^0 = 2,26 A$$

მათი შესაბამისი მაქსიმალური მნიშვნელობები (28) და (29)

$$\text{ფუნქციებისა ასეთია: } f_{H_2}^{\max} = 0,79 \frac{1}{0} \text{ და } f_{Ps_2}^{\max} = 0,49 \frac{1}{0} \frac{A}{A}$$

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს ერთ დიაგრამაზე ავა-
გოთ ელექტრული მუხტის რადიალური განაწილების გრაფიკები
წყალბადისა H_2 და პოზიტრონიუმის Ps_2 მოლეკულებისათვის.

გრაფიკები იძლევიან მსუბუქ მოლეკულებში მუხტის რადიალური
განაწილების ნათელ სურათს და საშუალებას იძლევიან შეფასდეს
მოლეკულათა ზომები. გრაფიკებიდან ჩანს, რომ განაწილების $f(\rho)$
ფუნქცია მაქსიმალურ მნიშვნელობას H_2 - სათვის უფრო სწრაფად
აღწევს ვიდრე Ps_2 - სათვის $\rho_{H_2}^0 \langle \rho_{Ps_2}^0 \rangle$ ამასთან $f_{H_2}^{\max}(\rho) > f_{Ps_2}^{\max}(\rho)$. $f(\rho)$
განაწილების ფუნქციის კლებაც ე.ი. ნულისკენ მისწრაფებაც
წყალბადის მოლეკულისათვის უფრო სწრაფია ვიდრე პოზიტრონიუ-
მის მოლეკულისათვის. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გავაკე-
თოთ დასკვნა, რომ პოზიტრონიუმის მოლეკულა უფრო განფენილია,
ვიდრე წყალბადის მოლეკულა.

მიღებული შედეგების შედარებით [4] შრომაში მიღებულ შედე-
გებთან, ვრწმუნდებით, რომ ატომები He, Li^+, Be^{++} უფრო კომპაქ-
ტური სისტემებია ვიდრე მოლეკულები H_2 და Ps_2

გამოყენებული ლიტერატურა

1. Джибути Р.И., Крупеникова Н.Б.-Метод гиперсферических функций в квантовой механике нескольких тел. Тбилиси, Мецниереба, 1984.
2. Джибути Р.И., Томчинский В.Ю., Шубитидзе Н.Н.-Коэффициенты преобразования в гиперсферическом подходе к проблеме четырех тел с неравными массами. ЯФ, 1973. т.18, вып. 6.
3. Джибути Р.И., Ефремидзе Т.И., Тедорадзе Д.К.-Об одной возможности приближенного аналитического решения проблемы четырех тел с кулоновским взаимодействием-Тезисы докладов Всесоюзного семинара „ Теория атомов и атомных спектров,,. Тбилиси, 1988.

4. Джибути Р.И., Ефремидзе Т.И., Тедорадзе Д.К.- Об одной возможности аналитического решения проблемы трех тел в атомной физике-Химическая физика. 1987. т. 6.

Д. К. Тедорадзе

Функция распределения электрического заряда в лёгких молекулах в базисе гиперсферических функций

Резюме

Лёгкие молекулы исследованы методом гиперсферических функций с использованием гиперкоординат и унитарного преобразования Рейнала-Реваи. В рамках гиперсферического подхода получены приближённые аналитические выражения функции распределения заряда для четырёхчастичных молекул водорода и позитрония. Показано, что молекула позитрония является намного периферической системой, чем молекула водорода.

ფიზიკის კათედრა

ფოთლის ფირფიტებისათვის დამახასიათებელია სქელი და წვრილუჯრედოვანი ეპიდერმულ-კუტიკულური შრე, მსხვილი ბაგენტების ნაკლები სიმჭიდროვე და ფოთლის ქვედა ეპიდერმისში ტრიქომული წარმონაქმნების გაჩენა. არის აზრი, რომ ფოთლის ასეთი სტრუქტურა თავისებური ბარიერის როლს ასრულებს და ხელს უშლის ტოქსიკური ნივთიერებების შეღწევის ფოთლობში (მ. გაბუნია, 1999). 10 სახეობის მერქნიან მცენარეთა ანატომიური აგებულების შესწავლის შედეგად გამოვლენილია სამი ჯგუფი: ა)რეზისტენტული ანუ მდგრადი სახეობები (აღ. ჭადარი, ჩვეულებრივი იფანი, დიდყვავილა მაგნოლია და ჰიმალაის კედარი), ბ)შედარებით რეზისტენტული ანუ საშუალო მგრძნობიარე სახეობები (ჩვეულებრივი თელა, თეთრი აკაცია, ალვის ხე), გარარეზისტენტული ანუ ძალზე მგრძნობიარე სახეობები (ჰაროვისის მუხა, ბრწყინვავი კვილო, შავი ფიჭვი-მ. გაბუნია, რ. თუთბერიძე, 1998წ.).

ექსპერიმენტული ნაწილი

ჩვენს მიერ შესწავლილია ზოგიერთი ბალახოვანი მცენარის ფოთლის ანატომიურ აგებულებაზე ჰაერის დაბინძურების გავლენა. კვლევა ტარდებოდა ქუთაისის და მისი შემოგარენის მავნე ტექნოლო-გიური ნარჩენებით გაჭუჭყიანებულ უბნებზე. ქალაქის მსხვილი საწარმოების—საავტომობილო, ლითოფონის, რეზინის ტექნიკური ნაკეთობათა ქარხნების, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიებზე და ავტომაგისტრალების გასწვრივ. საკონტროლოდ შერჩეულია ეკოლოგიურად შედარებით სუფთა ტერიტორია—ქუთაისის ბოტანიკური ბაღი. გამოსაკვლევად შევარჩიეთ ქუთაისის მოდამოებში გავრცელებული ექვსი ბალახოვანი მცენარე:

1. მრავალძარღვა — *Plantago major L*
2. დიდი ხვართქლა — *calistegia sepium (L) R. Br*
3. გობის ცხვირა — *Pruvella vulgaris L*
4. ლოლო — *Rumex conglomeratus Murr*
5. ანწლი — *Sambucus ebulus L*
6. კავკასიური ლაშქარა — *Sympytum caucasicum bieb*

დაბინძურებული უბნებიდან აღებული მცენარე წარმოადგენს საცდელს, ხოლო იგივე სახეობის მცენარე აღებული ეკოლოგიურად შედარებით სუფთა ტერიტორიიდან—არის საკონტროლო. როგორც საცდელი, ასევე საკონტროლო მცენარის ფოთლების ფიქსაციას

ვახდენდით 96° -იანი სპირტით. ფიქსირებული მასალიდან დამზადებულია ფოთლის ზედა და ქვედა ეპიფერმისისა და განივი ჭრილისა პრეპარატები. ფოთლის ანატომიური აგებულების კვლევა ჩატარებულია ზახარევიჩის (1954) და ანელის (1975) მეთოდების გამოყენებით. მიკროსკოპ **MBI**-ის გამოყენებით შესწავლილია ფოთლის ეპიფერმისისა და მეზოფილის აგებულება. კერძოდ, კუტიკულის სისქე, ეპიფერმისის უჯრედების ფორმა, გარსის მოხაზულობა, შებუსვის ხარისხი, მეზოფილის სტრუქტურა-კერძოდ, მესრისებრი და ღრუბლისებური პარენქიმის ხარისხი. ფოთლის ანატომიური აგებულების რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენის მიზნით, გაზომვები ჩატარებულია ოქულარ-მიკრომეტრით. ციფრობრივი მონაცემები დამუშავებულია ვარიაციული მეთოდით. ანატომიური სურათის ამსახველი სურათები შესრულებულია სახატავი აპარატის გამოყენებით. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებისა და სურათების სახით.

კვლევის შედეგები

ჩვენს მიერ საკვლევად აღებული მცენარეები მრავალწლოვანი ბალანსით, სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენლები. თითოეულ მათგანს თავისებური აგებულების ფოთლები აქვს, თავისებურად რეაგირებენ ისინი ატმოსფეროს დაბინძურებაზე; ამდენად, სხვაობა ერთიდაიგივე მცენარის საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის მეტ-ნაკლებია-ზოგიერთი მცენარე უფრო რეზისტენტულია, ზოგიერთი ნაკლებად რეზისტენტული. ყველა შემთხვევაში ვარემოს დაბინძურების გავლენით მომხდარი ცვლილებები ძირითადად რაოდენობრივი ხასიათისაა. განვიხილოთ ჩვენი საკვლევი მცენარის ფოთლის ანატომიური აგებულება და ის ცვლილებები რასაც აღილი აქვს მათზე ტექნოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით.

კავკასიური ლაშქარი (სურ. 1)

ფოთლის ეპიფერმისი შედგება ერთშრედ განლაგებულ არასწორი ფორმის პარენქიმული უჯრედებისაგან. უჯრედების გარსი კლაკნილია. გარსის კლაკნილობის ხარისხის მიხედვით სხავაობა ზედა დაქვედა ეპიფერმისს შორის თითოების არ შეინიშნება. ეპიფერმისს თავისებურ გარეგნობას აძლევს ბუსუსები. კავკასიური ლაშქარისათვის დამახასიათებელია მარტივი ხმლისებური ბუსუსები. ბუსუსები არის ფოთლის როგორც ზედა, ასევე ქვედა ეპიდერმისში. კავკასიური ლაშქარის ფო-

თოლი ჰიპოსტომატურია, ე. ი. ბაგე არის მხოლოდ ქვედა ეპიდერმიკული ში. ბაგე მარტივია, მეჭეჭისებური ფორმის (ანელი, 1975). სხვაობის ეპიდერმისის აგების თვალსაზრისით ამ მცენარის საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის (სურ. a-a, b-b), მხოლოდ რაოდენობრივი ხასიათისაა (ცხრილი 1) და ისიც ძალზე უმნიშვნელო.

განვ ჭრილში (სურ. 1 c-c) ფოთოლი გარედან დაფარულია ეპიდერმისით, რომლის უჯრედები მოგრძო ოთხუთხედის ფორმისაა; ეპიდერმისის ზედაპირზე კუტიკულის თხელი შრეა, რომლის სისქის მიხედვით სხვაობა საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის თითქმის არ შეინიშნება. ფოთლის განვ ჭრილში მკვეთრად ჩანს მარტივი ბუსუსები. მეზოფილი დიფერენცირებულია მესრისებულ და ღრუბლისებურ პარენქიმად. მესრისებულ პარენქიმა როგორც საცდელ, ასევე საკონტროლო ვარიანტში, მოთავსებულია ფოთლის ზედა მხარეზე და შესდგება ერთშრედ განლაგებული უჯრედისაგან. ფოთლის ქვედა მხარე მრავალშრიანი ღრუბლისებურ პარენქიმა. ე. ი. ფოთოლი დორზივენტრალური სტრუქტურისაა. ააღსანიშნავია, რომ საცდელი ვარიანტის ფითოლში მესრისებულ პარენქიმის უჯრედები (სურ. 1. c) უფრო გრძელია, ვიდრე საკონტროლო ვარიანტში (სურ. 1. c), ამიტომ შებამისად საცდელ ვარიანტში მესრისებულ პარენქიმა მეზოფილის 38,5%-ს შეადგენს, ხოლო საკონტროლო ვარიანტში – 36,1%. როგორც ვხედავთ სხვაობა არის, მაგრამ უმნიშვნელო. ფოთლის ანატომიურ აგებულებაზე გარემოს დაბინძურების გავლენით თუ ვიმსჯელებთ, კავკასიური ლაშქარა შეიძლება რესისტენტურ ანუ მდგრად სახეობად ჩაითვალოს.

ანწლი – ეპიდერმისი შედგება არასწორი ფორმის პარენქიმული უჯრედებისაგან. საცდელი ვარიანტის ზედა ეპიდერმისში უჯრედების გარისი სწორხაზოვანია, საკონტროლო ვარიანტის ზედა ეპიდერმისში ოდნავ ტალღური, ორივე ვარიანტის ქვედა ეპიდერმისში კი ტალღური. ბაგე არის მხოლოდ ქვედა ეპიდერმისში (ჰიპოსტომატური ფოთოლი). ბაგების რაოდენობის მიხედვით სხვაობა საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის არ შეინიშნება. (ცხრილი 1) განვ ჭრილში ეპიდერმისის უჯრედები მოგრძო ოთხუთხედის ფორმისაა. კუტიკულის სისქე ოდნავ მომატებულია საცდელ ვარიანტში და იგი 7მკმ-უდრის.

მეზოფილი დიფერენცირებულია მესრისებურ და ღრუბლისებურ

პარენქიმად. მმესრისებური პარენქიმა უჯრედების ერთ წყებას შემოვალის განვითარებისა და მოთავსებულია ფოთლის ზედა მხარეზე. ქვედა მხარეზე ლრუბლისებური პარენქიმა—მრავალშრიანი. კვებულის სიმაღლე 575 მეტია საცდელი ვარიანტის ფოთლებში და 575 მეტ უდრის, საკონტროლო ვარიანტში—53 მეტის ტოლია. ამის საფუძველზე ოდნავ მომატებულია საცდელ ვარიანტში მესრისებური პარენქიმის ხვედრითი წილი მეზოფილში. ეს სიდიდე საცდელ ვარიანტში 39,8%-ია, საკონტროლოში—37,5%. ამრიგად, ჰაერის დაბინძურების გავლენით ანწლის ფოთლებში შეინიშნება ცვლილებები, რომლებიც ადიდებს მცენარის გამძლეობას არახელსაყრელი გარემო პირობების მიმართ. ეს ცვლილებებია კუტიკულის სისქის მომატება და მმესრისებრ პარენქიმაში უჯრედების სისქის გადიდება. მაგრამ ეს ცვლილებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ანწლი შეიძლება ჩაითვალოს რეზისტენტულ ანუ მდგრად მცენარედ ჰაერის დაბინძურების მიმართ.

ღოლო (სურ. 3)—ფოთლის ეპიდერმისი, როგორც საცდელ, ასევე საკონტროლო ვარიანტში, არასწორ ფორმის ტალღურ გარსიანი უჯრებისაგან შესდგება. სხვაობა უჯრების ფორმის, უჯრების გარსის მოხაზულობის, ბაგების ტიპისა და განლაგების მიხედვით საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის თითქმის არ შეინიშნება (სურ. 3 a-a, b-b). ზემოთ განხილული მცენარეებისაგან განსხვავებით, ღოლოს ფოთლებში ბაგე არის როგორც ზედა, ასევე ქვედა ეპიდერმისში, ე. ი. ფოთოლი ამფისტომტურია; ასევე ღოლოს აქვს რთული ბაგე. თითოეულ ბაგესთან განლაგებულია ორი უჯრედი—თანამგზავრი უჯრედები, ანუ სატელიტები—ამრიგად, ბაგე არის დისექტური. სხვაობა საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის ეპიდერმისის აგებულების თვალსაზრისით მხოლოდ რაოდენობრივი ხასიათისაა. კერძოდ, საცდელი ვარიანტის ფოთლებში უფრო სქელია კუტიკულა და მეტია ბაგების რაოდენობა მხედველობის არეში (ცხრილი 1).

ღოლოს ფოთოლი განივ ჭრილში ასეთ სურათს იძლევა (სურ. 3 c-c): ეპიდერმისის უჯრედები მოგრძო ოთხკუთხედის ფორმისაა, კუტიკულის სისქე როგორც საცდელ, ასევე საკონტროლო ვარიანტში თანაბარია და ტოლია 6 მეტის. მეზოფილი დორზივენტრალურია. მეზოფილის სისქე საცდელ ვარიანტში მეტია; მესრისებული პარენქიმა საცდელ ვარიანტში ორშრიანია, საკონტროლოში მხოლოდ ერთი

წყება უჯრედისაგან შესდგება. მესრისებული პარენქიმის გაძლიერებული განვითარება ატმოსფეროს დაბინძურების შედეგად ხდება. ეს უკვე სტრუქტურული ცვლილებაა; მესრისებული პარენქიმაში უჯრედების შრების გადიდება შეინიშნება ატმოსფეროს დაბინძურების გავლენით როგორც მერქნიან, ასევე ბუჩქოვან მცენარეების არამდგრად, ანუ ნაკლებად რეზისტენტულ ფორმებშიც (რ. თუთბერიძე, მ. გაბუნია, 1996წ; რ. თუთბერიძე, მ. გაბუნია, 1998წ; რ. თუთბერიძე, ა. ჭიჭინაძე, მ. გაბუნია 1999 წ; მ. გაბუნია, რ. თუთბერიძე, 1998წ.); გამომდინარე აქედან ღოლო ნაკლებად რეზისტენტულ მცენარედ შეიძლება ჩაითვალოს. ააქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრ სხვაობას ამ მცენარის საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის ადგილი არ აქვს. ე. ი. მცენარე საშუალოდ რეზისტენტულია.

დიდი ხვართქლა-ფოთლის ეპიდერმისი შესდგება არასწორი ფორმის, ოდნავ ტალღური გარსის მქონე უჯრედებისაგან (სურ. 4 a-a, b-b). ბაგე მოთავსებულია მხოლოდ ქვედა ეპიდერმისში. ე. ი. ფოთოლი ჰიპოსტომატურია. ბაგე რთული-დისექტური. ეპიდერმისის აგებულების თვალსაზრისით სხვაობა საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის თითქმის არ შეინიშნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ საცდელი მცენარის ეპიდერმისში უმნიშვნელოდ არის მომატებული ბაგეების რაოდენობა (ცხრილი 1).

დიდი ხვართქლის ფოთლის განივი ჭრილიდან ჩანს, რომ მეზოფილი დორზივენტალურია. ფოთლის სისქე საცდელ ვარიანტში მომატებულია. ფოთლის სისქის გადიდება ხდება მესრისებური არენქიმის სარჩევ (სურ. 4 c-c). როგორც სურათიდან ჩანს, საცდელ ვარიანტში მესრისებურ პარენქიმაში უჯრედების სამი შრეა, ხოლო საკონტროლოში—2. შესაბამისად, საცდელი მცენარის ფოთლის მეზოფილის მეტი ნაწილი მესრისებრ პარენქიმაზე მოდის, საკონტროლოში კი ღრუბლისებური პარენქიმისის ხარისხი მეტია მესრისებურ პარენქიმასთან შედარებით.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მესრისებურ პარენქიმაში უჯრედების შრების გადიდება მცენარის ქსერომორფულობის ხარისხს აძლიერებს, რითაც მცენარე წინააღმდეგობას უწევს მავნე გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებას, დიდი ხვართქლა გამძლე მცენარე არ არის, საშუალოდ რეზისტენტულია.

გვიპისცხბირა-ფოთლის ეპიდერმისი, ცდის ორივე ვარიანტში, მათ ფისტომატურია აე. ი. ბაგე მოთავსებულია როგორც ზედა ასევე ქვედა ეპიდერმისში მრავალ-კუთხედაა, ქვედა ეპიდერმისში-არასწორი. გარსის მოხაზულობა საცდელი ვარიანტის ზედა ეპიდერმისში სწორხაზოვანია (სურ. 5 ა). დანარჩენ შემთხვევაში ოდნავ ტალღური (სურ. 5 ბ, ა1-ბ1) ფბაგეების რაოდენობა მხედ. არეში ყველაზე მეტია საცდელი ვარიანტის ქვედა ეპიდერმისში (ცხრ. 1) ამრიგად, საცდელ ვარიანტში გადიდებულია ბაგეების რაოდენობა.

განვით ჭრილიდან ჩანს, რომ ფოთოლი დორზივენტრალურია. კუტიკულის სისქე მომატებულია საცდელ ვარიანტში და 7მე-ს უდრის (ცხრ. 1). საცდელ ვარიანტში ასევე გადიდებულია ფოთლის სისქე საკონტროლოსთან შედარებით. მესრისებული პარენქიმა საცდელ ვარიანტში სამ შრიანია, ხოლო საკონტროლოში ორ შრიანი. ფოთლის სისქის, მესრისებური პარენქიმის სიმაღლისა და მესრისებურ პარენქიმაში უჯრედების შრეების მომატება იმის მომასწავებელია, რომ მცენარეში, ჰაერის დაბინძურების გავლენით, ძლიერდება ქსეროფიტი მცენარეებისათბის დამახასიათებელი ნიშნები. მაგრამ სხვაობა, ამ ნიშნების მიხედვით, საკონტროლო და საცდელი ვარიანტის მცენარეებში მკვეთრი არ არის. გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გობისცხბირა რეაგირებას ახდენს გარემოს დაბინძურებაზე, მაგრამ არც თუ ისე მკვეთრად. ამიტომ შეიძლება ეს მცენარე მივიჩნიოთ საშუალო მგრძნობიარე სახეობად.

მრავალძარღვა - ფოთლის ეპიდერმისი შედგება არასწორი ფორმის, ოდნავ ტალღურ გარსიანი უჯრედებისაგან. ბაგე მარტივია, მოთავსებულია როგორც ზედა ასევე ქვედა ეპიდერმისში ე. ი. ფოთოლი ამფისტომატურია. მხედველობის არეში ბაგეების რაოდენობის მიხედვით სხვაობა საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის არ შეინიშნება (ცხრ. 1). საცდელ მცენარეში გადიდებულია მეზოფილის სისქე, მესრისებური პარენქიმის სიმაღლე, მესრისებური პარენქიმის ხვედრითი წილი მეზოფილში, მაგრამ სხვაობა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის დიდი არ არის. გამომდინარე აქედან, მრავალძარღვა არის საშუალოდ მგრძნობიარე ანუ შედარებით რეზისტრაციული მცენარე.



Air Contamination Influence on the Anatomic Structure of some Grass Leaves

Here is considered the influence of the air contamination on the anatomic structure of the six kinds of Grass Leaves. The investigated material is taken from the polluted areas by techongenic remains (the industrial area and the airport), as well as from the comparatively clean territories (Kutaisi Botanical Garden). We call the first ones - "tested" and the latters "controlled". According to the results the changes one of quantitative nature and are less expressed, than in the previous years.

We have subdivided the plants into two groups:

- 1) Stable forms or resistant forms, in which there's less distinct the difference (Kaukavian Lashkara and elder).
- 2) Comparatively resistant or medium types (plantain and etc.).

ლიტერატურა:

1. Гурдиан Р., Загрязнение воздушной среды, 1979.
2. Уильям Х. Смит, Лес и автосфера, 1985.
3. Анили Н.А., Атлас эпидерми листа, 1975 г.
4. Котаева Д.В., Кезели Т.А., Чубинашвили Е.И. Атлас эпидерми листа двудолпных растений, 1985 г.
5. რ. თუფბერიძე, მ. გაბუნია, ჰაერის დაბინძურების გავლენა ზოგიერთი მცენარის ანატომიურ მაჩვენებელზე - ქსუ პროფესორ-მასწავლებელთა IV სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, ქუთაისი 1996 წ.
6. რ. თუთბერიძე, მ. გაბუნია - გარემოს ტექნოლოგიური დაბინძურების გავლენა ზოგიერთი მერქნიანი სახეობის კამბიუმის აქტივობაზე დასავლეთ საქართველოს პირობებში, ქსუ პროფესორ-მასწავლებელთა V სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, ქუთაისი 1998 წ.
7. რ. თუთბერიძე, ა. ჭიჭინაძე, მ. გაბუნია, გარემოს ტექნოლოგიური დაბინძურების გავლენა ზოგიერთი მერქნიანი მცენარის ფოთლის ანატომიურ სტრუქტურაზე. ქსუ სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 1(41), ქუთაისი 1999 წ.
8. მ. გაბუნია, რ. თუთბერიძე, გარემოს ტექნოლოგიური დაბინძურების გავლენა ზოგიერთი მერქნიანი სახეობების ფოთლის ანატომიურ სტრუქტურაზე დასავლეთ საქართველოს პირობებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მომბე, ტ. 157, №1, თბ. 1998 წ.
9. საქართველოს ფლორა, ტ. III-XI, თბილისი, 1975-1987.

ბოტანიკის და ეკოლოგიის კათედრა


მანანა კახიძე

საონტანერი პიარტენიშვილის დიაგნოსტიკური და პროგნოსული მნიშვნელობა არტერიული პიარტენიშვილის მქონე კაციენტები

ჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა 2% და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოხვედრილთა 3% შეადგენენ პაციენტები სინკოპული მდგომარეობით. ამავე დროს პირველად განვითარებული გულისწავლის შემთხვევათა 50% ახალგაზრდა პირებში რჩება ექიმთა მხედველობის არის მიღმა. აშშ-ში ყოველწლიურად იხარჯება 800 მლნ. \$ სინკოპული მდგომარეობით ავადმყოფთა გამოკვლევასა და მკურნალობაზე. ასეთი ყურადღება მოცემული პათოლოგიის მიმართ აიხსნება იმით, რომ სინკოპული მდგომარეობები შეიძლება იყვნენ უეცარი კარდიალური სიკვდილის ერთერთი წინამორბედი, უფრო მეტიც, განმეორებითი სინკოპე მნიშვნელოვნად აუარესებს ავადმყოფთა ცხოვრების ხარისხს, რომელიც შესადარია ინვალიდიზაციის მიღლი დონის მქონე ისეთ ქრონიკულ დაავადებებთან, როგორიცაა რევმატოიდული ართრიტი და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები.

შემოგთავაზებთ ერთერთ კლინიკურ მაგალითს: მიღებაზე შემოვიდა 55 წლის ქალბატონი ჩივილებით: მაღალარტერიულ წნევაზე (180/110 mm Hg), თავბრუსხვევის, საერთო სისუსტის, თვალებში დაბინდვის, გონების დაკარგვის ეპიზოდებზე, რომელსაც არ ახლდა კრუნქსვები და უნებლიერ შარდვა. ანამნეზიდან ცნობილია, რომ პაციენტს 10 წლის მანძილზე აწუხებს არტერიული ჰიპერტენზია, არტერიული წნევის მაქსიმალური ციფრებით (180/110 mm Hg); მისი სამუშაო წნევა იყო 140-150/ 90-95 mm Hg. სისტემატიურ ანტოპიპერტენზიულ მკურნალობას არ ღებულობდა, მხოლოდ როდესაც არტერიული წნევა აიწეოდა სამუშაო წნევაზე მაღლა, მას შეელოდა ნიფედიპინის ჯგუფის პრეპარატები (10-20 მგ.).

ბოლო 3 წლის მანძილზე პერიოდულად რაიმე მაპროცოცირებაფენის ფაქტორის გარეშე ამ ქალბატონს ეწყებოდა თავგბრუსხევის ქვეშლის დები, რომელსაც ზოგჯერ თან ახლდა გონების დაკარგვა (სულ 5 გულის წასვლა). არტერიული წნევა ამ მომენტში არ გაუზომია. გამოკვლეული იყო ნევროლოგიურ სტაციონარში. ცნა-ის პათოლოგია არ




* მახ აწ - მაქსიმალური არტერიული წნევა


** - მა - მოციმციმე არითმია

აღმოაჩნდა. გასინჯვისას ავადმყოფს გააჩნდა ჭიარბი წონა 31,6 კგ/მ². პერიოდული შეშუპება არ აღენიშნება. ფილტვებში სუნთქვა ვეზიკულური, ხიხინები არ მოისმინება. გულის ტონები ნათელი, რითმული, შუილები არ არის გცს-72. T/A 140/20 mm Hg. მუცელი პალპაციით რბილი, უმტკივნეულო. ღვიძლი და ელენთა გადიდებული არ არის. ფ/ჟ გადიდებული არ არის.

გვ-ს დღეღამურ მონიტორზე პოლტერის მიხედვით გამოვლენილია წინაგულების ფიბრილაციის პაროქსიზმები. გცს - 50-139, იშვიათი ერთეული და წყვილი წინაგულოვანი ექსტრასისტოლები (სულ 200), ერთეული და წყვილი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლები (სულ 250), ბიგემინიის მოკლე ეპიზოდები, უმტკივნეულო იშემიის ეპიზოდები მოსვენებულ მდგომარეობაში. გარდა ამისა ეკგ მონიტორირებისას ყურადღებას იქცევდა WPW - ტრანზიტორული სინდრომის არსებობა.



ებზ- მოსევენებულ მდგომარეობაში




ეკგ-ს დღელამური მონიტორირება პოლტერის მიხედვით:

- A – მიოკარდიუმის უმტკივნეულო იშემია მოსევენებულ მდგომარეობაში.
- B – ინტერვალის დამოკლება და ღშ – კომპლექსის შეცვლა როგორც WPW – ს ტრანზიტორული სინდრომის გამოვლინება.

საქართველოს
გარემონტის
მინისტრის
მიერ გამოქვეყნებული

ტრედმილზე დატვირთვის ცდის ჩატარებისას აღნიშნებოდა ჰიპოტონიური რეაქცია არტერიული წნევის დაჭვითებით 108/197 mm Hg-III საფეხურზე; 68/55 mm Hg-V საფეხურზედა 72/67 mm Hg აღდგენით პერიოდში. მე-5 საფეხურზე ჰიპოტენზია, რომელსაც თან ახლდა დისკომფორტის შეგრძნება პრეკარდიალურ არეში, საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა-ST სეგმენტის დიაგნოსტიკურად მნიშვნელოვანი დეპრესიის გარეშე, გამოკვლევის შეწყვეტის მიზეზი გახლდათ.



ა/შ და გცს დინამიკა დოზირებული ფისიკური დატვირთვის ცდის დროს.

გულის ექსკალაციური გამოვლევა ადასტურებდა მარცხენა პარკურის უკანა გვერდითი კედლის შუა და ქვედა მესამედის ჰიპოკინეზს.

ვენტრიულოგრაფიათ გამოვლინდა ორივე პარკურის კუმშვადი ფუნქციის დაჭვითება. მარცხენა პარკურის განდევნის ფრაქციის 43%,

მარჯვენასი 45%. ორივე პარკუშის ყველა კედლსა და პარკუშიდა ძგიდის ჰიპოკინეზის მცირე ზომები.

ამ კლინიკური მაგალითის განხილვისას განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს გულის წასვლის ეტიოლოგია. Braunwald გამოყოფს სინკოპეს ეტიოლოგიური ფაქტორების 4 ჯგუფს:

სინკოპეს მიზეზები (E. Braunwald, 2001)

სისხლძარღვოვანი გამოის

ორთოსტაზული:

წამლისმიერი,
პიპოვოლექმინა,
პირველადი
ვენოზური
უქმარისობა,
მეორადი
ნევროლოგიური
საკვების მიღების
შემდეგ

(მოხუცებში).

რეფლექტორული:
ვაზოვაგადური
სინკოპე,

კარიოტიდული
სინუსის
პიპერმგრძნობელობა
ა, სიტუაციური
(ხევლა, დეფეკაცია,
შარდვა, ყლაპვა)

ანატომიური:

აორტის განშრევებადი ანევრიზმა,
აორტის სტენოზი წინაგულების
მიქსომა, გულის ტამპონადა,
პიპერტრიოფული ქქმ, მიტრალური
სტენოზი, მიოკარდიუმის ინფარქტი,
ფილტვის არტერიის ტრომბომბოლია,
ფილტვისმიერი ჰიპერტენზია.

არითმიგბი:

ბრადიარითმიები, ავ-ბლოკადები,
ბრადიქარდია, სინუსის კვანძის
სისუსტის ს-მი, ექ-ის უჟნეციის
დარღვევა.

ტაქარითმიგბი

ს/ვ ტაქიკარდია, პარკუტოვანი
ტაქიკარდია, პირუეტის ტიპის
პარკუტოვანი ტაქიკარდია
(ხევლა, დეფეკაცია, (გადიდებული თ-ს სინდრომი).

ნეფროლოგიური

ცერებროგასტოლორული;
შაკიები, კაილეფებია
(პარციალური, საფეთქლინი),
თავის ტვინის სისხლის
მიმოქცევის მწვავე მოშლა,
ცერტებრიობაზილარული
უქმარისობა.

მეტაბოლური/შეტევლი

მეტაბოლური:
პიპერვენტილაცია (პიპერაპნია),
პიპოვოლექმინა, პიპოქსემია,
ალკოჰოლი.

შერეული:

ფსიკოგენული, ისტერია,
პანიკური შეტევა,
ცერტებრიალური სისხლჩაქცევა-

დაავადების კლინიკურ სურათში შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე კომპონენტი, რომლებიც არის გულის წასვლის პოტენციური მიზეზები: რითმისა და გამტარებლობის დარღვევა, გულისა და კორონარული უკმარისობის ნიშნები, ასევე ჰიპოტონიური რეაქცია ფიზიკურ დატენირვაზე.

რითმისა და გამტარებლობის დარღვევა მოციმციმე არითმისა პაროქსიზმისა და WPW-ს ტრანზიტორული სინდრომის სახით არის თავისებური აღმოჩენა ეკგ მონიტორირებისას. მათი რეგისტრაციი-

სას კლინიკური სიმპტომატიკის არარსებობა და პირიქით, პრესიციულ პეს დროს რითმისა და გამტარებლობის დარღვევის არარსებობა მორიცხავს გულისწავლის არითმოგენულ გენეზს.

ცნობილია გულისა და კორონალური უკმარისობისა და ორთოსტაზულ ჰიპოტენზიას შორის კავშირი. შეგუებითი გუ მქონე ქალების 83% რეგისტრირდება ჰიპოტენზიის ეპიზოდები ორთოსტაზში. ასეთი პაციენტებისათვის დამახასიათებელია – ჰიპოტონიის მომენტში კომპენსატორული ტახიკარდიის არარსებობა. ზემოთაღნიშნულ პაციენტ ქალში ტრედმილის ტესტის ჩატარებისას ფიზიკური დატვირთვისას ჰიპოტენზიის განვითარების მექანიზმად შეიძლება ჩავთვალოთ არსებული კორონალული უკმარისობის გაღრმავება, მიოკარდიუმის სისტოლური დისფუნქციის გაღრმავებით, შემდგომი არტერიული ქნევის დაცემით. მაგრამდატვირთვის ცდის ჩატარებისას ST სეგმენტის სინკოპე კომპენსატორული ტახიკარდიით არ დაფიქსირებულა, რაც საშუალებას არ გვაძლევს მოცემულ პათოგენეზურ ვარიანტს მიეთინებოთ უპირატესობა.

უეჭველია სინკოპური მდგომარეობის კავშირი ჰიპოტენზიის ეპიზოდებთან, რაც პირველად მოცემულ პაციენტს აღმოჩენილი ექნა დრედმილ-ტესტის ჩატარებისას. დანამედროვე ლიტერატურაში არტერიულ ჰიპოტენზიის ენიჭება ცოტა ყურადღება. ძირითადად ის მიმართულია არტერიული ჰიპერტენზიისაკენ. ამავე დროს განსაკუთრებული პროგნოზული მნიშვნელობა აქვს ჰიპოტონურ რეაქციებს არტერიული ჰიპერტენზიისას. სპონტანური ჰიპოტენზია ასეთ ავადმყოფებში არ არის დაკავშირებული თავის ტვინისა და გულის ფუნქციონალური მდგომარეობის დარღვევასთან, არ არის ის ასევე დამოკიდებული პრეპარატის მიღებაზე. არტერიული წნევის სპონტანური დაცემა არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში წარმოადგენს ე.წ. არტერიული წნევის დასრულებას სინდრომის შემადგენელ ნაწილს, რომლისთვისაც დამახასიათებელია წნევის პათოლოგიური ცვალებადობა. ფიზიკური დატვირთვისას, ძილში, საკვების მიღების შემდეგ, სხეულის მდებარეობის შეცვლისას და სხვა დროს. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ ემოციური ფაქტორი შეიძლება გამოვიდეს ჰიპოტენზიის ტრიგერის როლში. ასევე ჰიპოტენზის პათოგენეზური მექანიზმი მდგომარეობს ვეგეტიური ბალანსის დარღვევაში, ვაგუსის ტონუსის გაზრდასა და პერიფერიული სიმფათიკუ-

რო ტონუსის დაქვეითებაში შემდგომი ბრადიკარდიით, ვაზოდილატაციით, ჰიპოტენზიით, პრესისინკოპეთი. სპონტანული ჰიპოტენზიის გავრცელებაარტერიული ჰიპერტენზიის შემთხვევაში. პოპულაციაში 70%-მდე შეადგენს და ასეთ პაციენტებში სპონტანური ჰიპოტენზიური რეაქციები წარმოადგენენ ჰიპერტონული კრიზების წინამორბედს, რითაც აიხსნება მათი დიაგნოსტირების აუცილებლობა და მნიშვნელობა.

არტერიული წნევის ცვალებადობის განსაზღვრის ყველაზე უსაფრთხო და ეფექტური მეთოდია არტერიული წნევის დღე-ღამური მონიტორირება. გამოვლენილია არტერიული წნევის ცირკადური რითმის თავისებურება და ჰიპერტენზიის განვითარებას შორის კაშირი. პაციენტებში რომელთაც ღამის საათებში არასაკმარისად ეცემა არტერიული წნევა (*non dippers*) ღამისასიათებელია ორთოსტაზული ჰიპოტენზია, ხოლო პაციენტებში რომელთაც ძლიერ ეცემა წნევა ღამის საათებში (*over-dippers*) რეგისტრირდება ორთოსტაზური ჰიპერტენზია. მოცემული კლინიკური მაგალითი წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს პრაქტიკოსი ექიმებისათვის გულის წასვლის ეთიოლოგიის ვერიფიკაციის სირთულესთან დაკავშირებით. მოცემული პაციენტის თავისებურებას წარმოადგენს სინკოპეს რამდენიმე პათოგენური ფაქტორების ერთობლიობა, რაც გვკარნახობს მრავალმხრივი ინსტრუმენტული გამოკვლევის აუცილებლობას, სინკოპეს განვითარებაში თითოეული ფაქტორის მნიშვნელობის დასაზუსტებლად. სპონტანური ჰიპოტენზიული გამომარეობების გამოვლენა წარმოადგენს ჰიპერტენზიური კრიზების განვითარების მნიშვნელოვან პროგნოზულ ფაქტორს, რაც განსაზღვრავს ექიმის შემდგომ ტაქტიკას.

ლიტერატურა:

1. Кушаковский- „Аритмии и блокады сердца“
2. Руксин И.И. – „Неотложная кардиология“ Санкт-Петербург 2000 г.
3. Abboud F.M. Neurocardiogenic syncope (N Engl. J. Med - 1993)
4. „Диагностическое и прогностическое значение спонтанной гипотензии у больных с артериальной гипертензией“ (Мед. ж. „Врач“ – 2002г).

თერაპიის კათედრა


ნაზო ქუაზამვილი, მურან ერემევაზოლი

ერითრინული ალკალოიდების ურთიერთობადასვლა

ალკალოიდები მკვეთრი ფიზიოლოგიური მოქმედებით ხასიათდებიან. ცნობილია, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მცენარის სასიცოცხლო ციკლში. ალკალოიდები ზოგჯერ დამცველი ნივთიერებებია, ზოგჯერ კი ბიოსინთეზის აუცილებელი კომპონენტები. ხაზებისმით უნდა იღინიშნოს, რომ ერთი კონკრეტული ალკალოიდი, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებს ფოთლებში, ვეგეტაციის მოძღვნო პერიოდში გადადის მცენარის სხვა ნაწილში ან გარდაიქმნება ახალ ალკალოიდად და შესაბამისად განსხავებული ფუნქციაც დაეკისრება (1).

ამ მოსაზრებას ადასტურებს ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ალკალოიდების ურთიერთობარდაქმნები, სადაც ადვილად ხოცრიელდება ისეთივე უანგვა-აღდგენითი რეაქციები, როგორც მცენარეში.

მცენარე *Couulus laweriflious* -დან გამოყოფილია სხვადასხვა ტიპის ათი ალკალოიდი [2-4]. მოსალოდნელია რომ მცენარეში მიმდინარეობს სხვადასხვა უანგვა-აღდგენითი რეაქციები. ამის დასტურად ჩვენს მიერ ჩატარებულია ერიტრიინული ტიპის ალკალოიდების გარდაქმნები: კოკულიდინის N-ოქსიდის (1) აღდგენითი მივიღეთ კოკულიდინი (2), კოკულინის (3) მეთილირებით მივიღეთ კოკულიდინი (2), კოკლაფინიდიან (4) მეთილიოდიდის და ნატრიუმის ჰიდრიდის გამოყენებით მივიღეთ კოკულიდინის ოოდმეთილატი (5). კოკულიდინიდან (2) კი მივიღეთ კოკულიდინის ოოდმეთილატი (5) (იხ. სქემა)



Конъюгаты с гидроксильной группой в альфа-положении кетогруппы обладают высокой биологической активностью. Гидроксилаты и конъюгаты с гидроксильной группой в альфа-положении кетогруппы обладают высокой биологической активностью. Гидроксилаты и конъюгаты с гидроксильной группой в альфа-положении кетогруппы обладают высокой биологической активностью.

Гидроксилаты и конъюгаты с гидроксильной группой в альфа-положении кетогруппы обладают высокой биологической активностью. Гидроксилаты и конъюгаты с гидроксильной группой в альфа-положении кетогруппы обладают высокой биологической активностью. Гидроксилаты и конъюгаты с гидроксильной группой в альфа-положении кетогруппы обладают высокой биологической активностью.

